ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 2020 №261 (8525) ფასი: 60 თეთრი

24 წლის თომა ბაბისაშვილი დის ფაქტობრივი ქმრის მკვლელობისთვის დააკავეს

გვ.5

„გახარია ვანო ჩხარტიშვილს ვერ მოერია“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „პრემიერი განტევების ვაცად ყოფნას თავად დათანხმდა“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ნიკა მელია ქუჩაში ბრძოლისთვის დაბადებული პოლიტიკოსია“

„დღევანდელი სიტუაცია აწყობს მიშასაც და ბიძინასაც“

ბექან ნათელაშვილი: „საქართველოში დიქტატურას არავინ მოითმენს“

გვ.4

„ასეთ დროს ხელფასების ზრდა დანაშაულია“

ხათუნა გოგორიშვილი: „ოცნებას“ დასავლეთიდან თითი დაუქნიეს და იმიტომ შეაჩერეს კანონპროექტის მიღება“

გვ.2

„წულუკიანმა და მისმა კანტორამ ყველაფერი გააკეთა, რომ 2020-ის არჩევნებზე დომხალი ყოფილიყო“

დათო ლორთქიფანიძე: „ოპოზიცია პარლამენტში აუცილებელია“

გვ.4

პოლიცია შალვა გულუას ეძებს, რომლის მანქანა ყულიშკარში იპოვეს

გვ.5

ISSN 1987-9385

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა — დაკავებულია ერთი პირი

2 რა შეზღუდვები მოიხსნება და რა შენარჩუნდება 24 დეკემბრიდან 2 იანვრამდე

5 შსს-მ რეგულაციების დარღვევის 675 ფაქტი გამოავლინა

6 თურქეთში გაზეთის რედაქტორს 27 წელი მიუსაჯეს

„წულუკიანმა და მისმა კანტორამ ყველაფერი გააკეთა, რომ 2020-ის არჩევნებზე დომხალი ყოფილიყო“

ხათუნა გოგორიშვილი: „ოცნებას“ დასავლეთიდან თითი დაუქნიეს და იმიტომ შეაჩერეს კანონპროექტის მიღება“

იაგო ნაცვლიშვილი

პარტიებს მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაფინანსება არ შეუწყდებათ. ეს გადაწყვეტილება პარლამენტში 23 დეკემბერს პირველი მოსმენით მიიღეს. საუბარია კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც, ბოიკოტის რეჟიმში მყოფ პარტიებს დაფინანსება უწყდებოდათ. საუბარია რეგისტრაციის წესზეც, რომლის მოხსნა იმ პარტიებს ემუქრება, რომელთა კამპანიაშიც უცხო ქვეყნის მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას, კერძოდ კი, ამგვარი რისკის წინაშე „ნაციონალური მოძრაობაა“, ვინაიდან პარტიის ლიდერი და საქართველოს მესამე პრეზიდენტი ამჟამად უკრაინის მოქალაქეა. როგორ უნდა გავიგოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, რას უპასუხებს თეა წულუკიანის განცხადებას, რომ ოპოზიციამ ამომრჩეველს უღალატა და რა შანსი რჩება, რომ მოლაპარაკებებში შეთანხმების მიღწევა მოხერხდეს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს.

– დაიწყო მუშაობა მეათე მოწვევის პარლამენტმა. როგორ აფასებთ მის მუშაობას და რა დაგანახათ თქვენ?

– არ ვიცი. საერთოდ არც შემიხედავს, გარდა პირველი სხდომისა.

პირველ სხდომას რაც შეეხება, თუ ვინმეს დაუტოვა კარგი შთაბეჭდილება, ძალიან მეეჭვება. იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად გვაქვს ერთპარტიული პარლამენტი და რაც არ უნდა იძახონ „ქოცებმა“, რომ არ იქნება ერთპარტიული და მრავალპარტიულიაო, ფაქტი სახეზეა, რომ დარბაზში ზის 90 დეპუტატი და ყველა „ქართული ოცნებიდან“. ძალიან ცუდია და ეს მხოლოდ პარლამენტის იმიჯისთვის არ არის ცუდი, ზოგადად ქვეყნისთვის არის ცუდი, როდესაც 30 წლის შემდეგ ვბრუნდებით არა იქ, საიდანაც ჩვენი დამოუკიდებლობა დაიწყო, არამედ უფრო უკან და პირდაპირ თურქმენეთიზაციის გზას ვადგავართ.

– ზუსტად ამას ამბობს ამერიკის ელჩი „ფორმულასთან“ ინტერვიუში, რომ 30-წლიანი დემოკრატიის კონტექსტში საქართველოს ძლიერი პარლამენტი უნდა ჰყავდეს.

– მე მახსოვს ყველა პარლამენტი, რომელიც იყო საქართველოში. მახსოვს პარლამენტი, რომელმაც ჩვენი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც 26 პარტიისგან შედგებოდა. ასე რომ, როდესაც ამბობენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა, რომ 9 პარტიამ გადალახა ბარიერი და ასეთი მრავალპარტიული არასოდეს ჰყოლიაო, ეს ძალიან მიკვირს. არცთუ ისე დიდი ისტორია აქვს საქართველოს დამოუკიდებლობას და ცოტა მეტი რომ ჩაიხედონ და ნახონ, ცუდი არ იქნება. ნახონ, რომ საქართველოს ჰყავდა 26 პარტიისგან შემდგარი პარლამენტი. სწორედ იმ პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომელიც დღემდე მუშაობს.

– დაფინანსების და რეგისტრაციის წესზე „ოცნება“ კელი დეგნანმაც გააკრიტიკა კარლ ჰარცელის შემდეგ და თქვა, რომ ოპოზიციის შეზღუდვა მიუღებელია. ამის ფონზე ანრი ოხანაშვილი ამბობს, რომ 6 თვე ისევ მიიღებენ პარტიები დაფინანსებას. ეს როგორ უნდა გავიგოთ? სივრცეს ტოვებენ?

– ეს არის შანტაჟი. ვინც შეუშინებიათ და ვინც დაუშანტაჟებიათ, ისევ ისინი დააშანტაჟონ. იცით რა, ისინი მსჯელობენ საკუთარი თავით, იმაზე თუ რაზე ექნებოდათ თავად რეაქცია. როდესაც წარმოიდგენენ რაღაცებს, ჩანს, რომ რითიც იღებენ გადაწყვეტილებებს და მონებივით იქცევიან, მათთვის მთავარი არის ფული და სხვა არაფერი. ჰგონიათ, რომ სხვებისთვისაც ასეა და ჰგონიათ, რომ ეს იქნება ის ბერკეტი, რომელიც იმოქმედებს.

გვესმის ეს მიდებ-მოდება, რაც ამ დღეების განმავლობაში ისმის. ჯერ იყო, რომ შეუწყდებოდათ პირდაპირ, მერე გაზაფხულზე, ახლა თქვენგან ვიგებ, რომ 6 თვის შემდეგ უთქვამთ. თავდაპირველ ვარიანტში მანდატების ნახევარზეც არ იყო ლაპარაკი, ახლა უცებ აღმოჩნდა, რომ „პატრიოტების“ 2 დეპუტატი (4 მანდატიდან) თავს იკლავს, რომ უნდა შევიდეო. რატომ მეტი არა, ეს კიდევ ცალკე საღაპარაკოა. მათ მოარგეს, რომ „პატრიოტებს“ არ შეუწყდებათ დაფინანსება. რამეში ხომ უნდა გამოხატონ თავისი სოლიდარობა მათ მიმართ. როგორც ჩანს, არჩევნებზე „პატრიოტთა ალიანსი“ „ქართული ოცნებისგან“ მეტ დახმარებას ელოდა. არჩევნებზე ვერ დაეხმარა, ახლა ეხმარება, რომ დაფინანსება არ შეუწყდეს.

ეს ყველაფერი არის ბლა-ბლა, რომელზეც არც ერთ იმ ოპოზიციურ პარტიას არ აქვს რეაქცია, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო და მათი უცვლელი მოთხოვნაა რიგგარეშე არჩევნები. სხვათა შორის, თავიდან ხელახალი არჩევნების საკითხს ვაყენებდით. ხელახალ და რიგგარეშე არჩევნებს შორის განსხვავებაა. რიგგარეშე არჩევნები საერთოდ ახალი ციკლის დაწყებაა და ეს არის სერიოზული დათმობა ოპოზიციის მხრიდან. სანამ ეს ორი საკითხი – რიგგარეშე არჩევნების და პოლიტპატიმრების საკითხები არ იქნება მიღებული, მანამდე ოპოზიციაზე ვერც დაფინანსების შეწყვეტით იმოქმედებენ და კიდევ რამეს მოიფიქრებენ.

აგერ „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთო რეგისტრაციის გაუქმებით ემუქრებიან. ყველაზე დიდი ბოდვა, რაც კობახიძისგან მოვისმინე, ის არის, რომ პარტიებს კი არ ვაუქმებთ, საარჩევნო რეგისტრაციას ვაუქმებთ და არჩევნებში ვერ მიიღებენ მონაწილეობასო. აბა რაშია საჭირო პარტია? კლუბია? პოლიტიკური პარტიის მთავარი მიზანი, რომ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. სულელი ვინმე ჰგონია საქართველოში, რომ ამაზე რეაქცია არ ექნება და ამას მიიღებს არგუმენტად? კი არ ვაუქმებთ, უბრალოდ არჩევნებში ვერ მიიღებენ მონაწილეობასო. ასე შეიკრიბებიან ხოლმე, იმსჯელებენ და იქნება კლუბი.

– წულუკიანი ამბობს, რომ ამომრჩეველს უღალატეს და ძნელია განასხვაო, მებოიკოტეები არიან თუ საბოტაჟნიკებიო.

– ვურჩევდი წულუკიანს, რომ სიტყვები „ამომრჩეველი“ და „ღალატი“ ერთდროულად არ იხმაროს. მას არანაირი მორალური უფლება არ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

რომან გოცირიძე: „ეს მთავრობა დასახოცია, ოღონდ პოლიტიკურად“

„8 წელიწადში 70 მინისტრი გამოცვალეს“



ძალიან კარგი ფილმია „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“, შეიძლება ვთქვათ მეტაფორულად, რომ წარუმატებელ და გაკოტრებულ ცხენებს ხოცავენ, ანუ, ეს მთავრობა დასახოცია, ოღონდ პოლიტიკურად.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა რომან გოცირიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი მინისტრთა კაბინეტის შეფასებისას განაცხადა.

მისივე თქმით, 2012 წლიდან დღემდე ქვეყანას 70-მდე მინისტრი და 500-მდე მინისტრის მოადგილე ჰყავდა, რომელთა ნაწილიც საზოგადოებამ მხოლოდ ოდიოზური გამონათქვამების გამო დაიმახსოვრა.

გოცირიძის თქმით, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ისინი პოლიტიკურად დაიხოცნენ.

– როგორც „ხანუმაში“ ეროსი მანჯგალაძე კამეჩებზე რომ ამბობს, სად არიან კამეჩებიო? და „სდოხლიო“, დაახლოებით ასეა – ამ 8 წლის განმავლობაში მთავრობაში 70-მდე მინისტრი გამოიცვალა, თითო მინისტრს, საშუალოდ, 6 მოადგილე ჰყავდა, რომლებიც ასევე იცვლებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ 500-მდე მოადგილე იყო და 1 მოადგილე რომ ჰყავდეს მინისტრს და 5 რომ არ ჰყავდეს, დაიზოგებოდა ათეულ მილიონობით თანხა. და ეს 70 მინისტრი სად არის? აორთქლდნენ, დაიხოცნენ პოლიტიკურად.

თუ რომელიმე მინისტრი მაყურებელს შეუძლია დაასახელოს, მხოლოდ და მხოლოდ გაახსენდება რაღაც ნეგატიურ კონტექსტში. რაიმე განსაკუთრებული, ოდიოზური გამონათქვამი თუ არ გვამახსოვრდება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, ამ მინისტრების არც გვარი იცის და არც სახელი საზოგადოებამ.

ამ სამინისტროში დარჩნენ იგივე ადამიანები, იგივე სახეები, რომლებთანაც ასოცირდება ორი რამ – ჩავარდნილი ეკონომიკა, წარუმატებელი საფინანსო ცხოვრება, გაუფასურებული ლარი და კატასტროფული ვითარება ჯანდაცვაში პანდემიის მართვის კუთხით.

ჩააგდო ორი რამ – ერთი, რომელიც ეხება ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და იხოცება ხალხი, მეორე, რომელიც ეხება ადამიანების კეთილდღეობას და ქვეყანა არის გაღატაკებული, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

რა შეზღუდვები მოიხსნება და რა შენარჩუნდება 24 დეკემბრიდან 2 იანვრამდე

სრული სია

მთავრობა პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების 24 დეკემბრიდან შემსუბუქების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეზღუდვების შემსუბუქება 2 იანვრამდე იმოქმედებს.

„მოგეხსენებათ, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო აქტიურად მუშაობდა როგორც ექსპერტებთან, ეპიდემიოლოგებთან, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებთან, დაწესებული შეზღუდვების 24 დეკემბრიდან შემსუბუქების მიზანშეწონილობაზე. ყველა კარგად ვხედავთ, რომ 28 ნოემბრიდან დაწესებულმა შეზღუდვებმა იქონია პირდაპირი გავლენა ინფიცირების გავრცელების შენელებასა და ეპიდვითარების დასტაბილურებაზე. ინფიცირების დღიური მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად, ინფიცირების დონე მაინც რჩება მაღალი. მხოლოდ დღეს ინტენსიური ტესტირების შედეგად გამოვლინდა ინფიცირების 3064 შემთხვევა, საავადმყოფოებში მკურნალობს 6358 მოქალაქე.

შესაბამისად, თითოეული ჩვენგანის, როგორც ხელისუფლების, ისე კერძო სექტორისა და თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაა, გავუფრთხილდეთ მიღწეულ შედეგს და იმ ფასს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იხდის. ამიტომ, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 24 დეკემბრიდან – 2 იანვრის ჩათვლით შეზღუდვების შემსუბუქება არ განხორციელდეს სრული მოცულობით:

1. ძალაში რჩება მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, ფოთსა და თელავში;

2. ასევე ძალაში რჩება საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. კერძო ავტომანქანებით გადაადგილება კვლავ იქნება ნებადართული;

3. ბაზრობები არ გაიხსნება. მუშაობას ისევ გააგრძელებენ აგრარული ბაზრები, წესების სრული დაცვის პირობით;

4. 24 დეკემბრიდან – 2 იანვრის ჩათვლით ზემოაღნიშნულ ქალაქებში კოვიდ-უსაფრთხოების ყველა წესის დაცვის შემთხვევაში მუშაობას განაახლებენ სავაჭრო ობიექტები;

5. მეტიც, გათვალისწინებულია დამატებითი რეგულაციები, რომელზეც წინასწარ გაიმართა კონსულტაციები ბიზნესთან:

მაღაზიების სამუშაო საათები განისაზღვრება დილის 07:00-დან 19:00 საათამდე მომხმარებლების სავაჭრო სივრცეში დაშვება უნდა მოხდეს ნაკადების მკაცრი მართვით, რისთვისაც:

მაღაზიის ფართის ყოველ 20m^2 დაიშვება შიდა, ასევე მაღაზიის გარე სივრცეში უნდა მოხდეს მომხმარებელთა რიგების მართვა; ფასდაკლებების აქციები გამოცხადდეს ძირითადად დილის საათებში ან/და ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში;

ტანსაცმლის მაღაზიებში არ იმუშავებს გასახდელები. ამასთან, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, მაღაზიებმა უნდა დაუშვან პროდუქციის დაბრუნება ან გადაცვლა ერთი თვის განმავლობაში და ეს უნდა მოხდეს მხოლოდ 1-ელი თებერვლის შემდეგ. სავაჭრო ცენტრებში იკრძალება კვების ობიექტების ფუნქციონირება, მათ შორის გატანის სერვისით ყველა სივრცეში და მაღაზიის გარეთ რიგებში დაცული უნდა იყოს სოციალური დისტანცია და პირბადეების სწორად ტარების მოთხოვნები. აღნიშნულზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სავაჭრო ობიექტების ადმინისტრაციას. ნებისმიერი დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ობიექტების მიმართ გამოყენებული იქნება კანონით დადგენილი ყველა ღონისძიება, როგორც დაჯარიმება, ასევე საქმიანობის შეჩერება.

6. მოგეხსენებათ, რომ დღეის მდგომარეობით სათხილამურო კურორტების გარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაშვებული იყო სასტუმროების და მათთან არსებული რესტორნების ფუნქციონირება მხოლოდ სასტუმროების მომსახურებისთვის. აკრძალულია კულტურული და სხვა სახის გასართობი ღონისძიებების მოწყობა.

7. სამწუხაროდ ვხედავთ, რომ სასტუმროების დიდი ნაწილი ცდილობს ამ მოთხოვნების გვერდის ავლას და საახალწლო საღამოების მოწყობას.

8. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სასტუმროების რესტორნები იმუშავებენ მხოლოდ 21:00 საათამდე, ხოლო 21:00 საათიდან დაშვებული იქნება მხოლოდ ნომერში მომსახურების სერვისი.

9. რესტორნები და კვების ობიექტები ქვეყნის მასშტაბით აგრძელებენ მუშაობას მხოლოდ გატანის სერვისზე.

10. ძალაში რჩება გადაადგილების შეზღუდვა მთელი ქვეყნის მასშტაბით 21:00 საათიდან 05:00 საათამდე, როგორც ქვეითად, ისე ავტომობილით;

11. გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე – 31 დეკემბრის ღამე და ასევე შობის ღამე – 6 იანვრის ღამე;

12. აღნიშნული გამონაკლისის მიუხედავად, კვლავ მოვუწოდებთ მოსახლეობას, დღესასწაულები აღნიშნონ ვიწრო ოჯახურ წრეში“ – ნათქვამია საკოორდინაციო საბჭოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია ვანო ჩხარტიშვილს ვერ მოერია“

დავით ჭიჭინაძე: „პრემიერი განტევების ვაცად ყოფნას თავად დათანხმდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, პარლამენტი ორი დღეა მინისტრობის კანდიდატებს უსმენს. გიორგი გახარიამ, ოპოზიციის გარეშე მუშაობა გაგვიჭირდებაო. ფიქრობთ, გააცნობიერეს, რა სირთულე შეიძლება ამას მოჰყვეს?

– ამ უმსგავსობას ხალხი შესაბამისად შეაფასებს. შეუძლებელია ხალხმა ამ პარლამენტსა და ამ მთავრობას ამ დღეში ჩაგდება აპატიოს. ეს ადამიანები ვერ გრძნობენ, რა ხდება ქვეყანაში. ისინი სხვა რეალობაში არიან, ხალხი სხვა რეალობაში. იმ პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის მივიდა და არა ხალხის მსახურებისთვის. გახარიამ კი თქვა გაგვიჭირდებაო, მაგრამ ეს დეპუტატები ბედნიერი სახეებით ვერ გრძნობენ, რა ხდება. უსუსურ მცდელობებს აქვს ადგილი, რომ თითქოს არაფერი არ ხდება, არადა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება მიიტაცა, ახლა კეთილი ინებოს და პასუხი აგოს მოქალაქეების წინაშე.

– წარმოდგენილ მინისტრთა კაბინეტზე მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, გახარიას რატომ არ მიეცა შესაძლებლობა, კაბინეტში საკუთარი გუნდის წევრი შეეყვანა?

– პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის ბალანსი დაცულია. ყველა მინისტრი ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელია. გახარიას არ ჰყავს თავისი გუნდი. მას არ მიეცა კაბინეტში არც ერთი მინისტრის შეყვანის უფლება. ნათია მეზვრიშვილის წასვლაც ხომ ამის უტყუარი ნიშანი იყო. გახარიას აბსოლუტურად ფორმალური როლი აქვს. მას არ შეუძლია არც ერთი მინისტრის მოხსნა და ახლის დანიშვნა. სახელად არის პრემიერ-მინისტრი. ასეთი პრემიერი ყველას აწყობს.

– რატომ?

– ძალიან მარტივია: წინ არის დიდი კრიზისი. ვიღაც ხომ უნდა იყოს განტევების ვაცი?! გახარია განტევების ვაცად ყოფნას თავად დათანხმდა. მერე ყველაფერს, რასაკვირველია, მას აკიდებენ. ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი იმაზე,

„ვადამდელი არჩევნები არ უნდა იყოს „ქართული ოცნებისთვის“ მაშველი რგოლი. სერიოზული დაპირისპირება თავიდან რომ ავიცილოთ და ამ ყველაფერმა დემოკრატიის ფარგლებში რომ ჩაიაროს, საჭირო იქნება ივანიშვილს, როგორც ერთ ადამიანს, პრობლემა არ შეექმნას“

რაც დღეს ქვეყანაში ხდება. როგორც ჩანს, ამას ღიად დათანხმდა გახარია. დღეს, გვეუბნებიან, ის გენიალური კრიზისმენეჯერია, მაგრამ როდესაც დრო მოვა, იტყვიან, პრემიერმა ვერ შეძლო კრიზისის მართვა. ძალიან მარტივია, ეს ასე მოხდება.

– თქვენ პოლიტიკური დაჯგუფებები ახსენეთ. ვის გულისხმობდით?

– ეს ყველამ იცის. კალაძეს ჰყავს თავისი გუნდი და ვანო ჩხარტიშვილს. ქვეყნის ეკონომიკა აბსოლუტურად განადგურდა. განადგურდა ეკონომიკის ისეთი სფეროები, რომელზეც იდგა ქვეყნის შემოსავალი და ამ დროს გვეუბნება გახარია ეკონომიკურ რეფორმებზე, ეკონომიკურ ბუმზე, რომელსაც თურმე თურნავა ატარებს. თურნავა ხელშეუხებელი მინისტრია, ის ჩხარტიშვილს წარმოადგენს. ამ დროს გახარიასა და ჩხარტიშვილს შორის ყოველთვის დაპირისპირება იყო, მაგრამ ვხედავთ, გახარია ჩხარტიშვილს ვერ მოერია. ასეთი „ძალა“ აქვს პრემიერს დღეს. ეს არის არაფორმალური მმართველობის შედეგი. ამ ქვეყანაში არაფორმალური მმართველის მეგობრებს უფრო დიდი გავლენა აქვთ, ვიდრე ქვეყნის პრემიერს.

– „ქართული ოცნება“ თვითგადარჩენისთვის მზად არის, გახარია გაწიროს?

– რა თქმა უნდა! გახარია მარტო კაცია. ის ვერც ერთ ჯგუფს ვერ დაუპირისპირდება. მან იცის, რომ ამ შემთხვევაში სერიოზულად დამარცხდება. ამიტომ ყველაზე მარტივი მისი გაშვება იქნება. თან ყველაზე უღერადი თანამდებობის პირია. გახარიას გაუშვებენ და ახალ სახელსა და გვარს მოიყვანენ. ამით „ქართული ოცნება“ კიდევ შეეცდება ცვლილებების ილუზია შექმნას და ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ მოატყუოს. სინამდვილეში კი ხომ ვიცით, რომ ამით არაფერი ქვეყანაში არ შეიცვლება.

– ექსპერტები აცხადებენ, რომ პოლიტიკური კრიზისის ასე გაგრძელება შეუძლებელია და თავად ხელისუფლება დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს. შეიძლება მართლაც ასე განვითარდეს მოვლენები?

– ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული კრიზისია. კრიზისია ყველა მიმართულებით. ერთადერთი გამოსავალი, რასაკვირველია, მხოლოდ ვადამდელი არჩევნებია, მაგრამ ვადამდელი არჩევნები ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში დარჩენასთან დაკავშირებით ვერ ჩატარდება. ეს ვადამდელი არჩევნები არ უნდა იყოს „ქართული ოცნებისთვის“ მაშველი რგოლი. უკვე ვეღარავინ ვერ დაუშვებს ივანიშვილის ხელისუფლებაში დარჩენას, მაგრამ სერიოზული დაპირისპირება თავიდან რომ ავიცილოთ და ამ ყველაფერმა დემოკრატიის ფარგლებში რომ ჩაიაროს, საჭირო იქნება მოცემულობის შექმნა, რომ ივანიშვილს, როგორც ერთ ადამიანს, პრობლემა არ შეექმნას. ეს კონტურები უნდა შეექმნათ, როგორც სახელმწიფომ სრულიად ღიად და არავითარ შემთხვევაში კულუარულად, ვიღაცასთან გარიგებით. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დემოკრატიის სრული დაცვითა და უზრუნველყოფით. წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგება, იმიტომ, რომ შეუძლებელია „ოცნებამ“ ხელისუფლება შეინარჩუნოს და ძალაუფლების დაკარგვის შიშმა, შეიძლება ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდოს.

„დღევანდელი სიტუაცია აწყობს მიშასაც და ბიძინასაც“

თორნიკე შარაშენიძე: „ნიკა მელია ქუჩაში ბრძოლისთვის დაბადებული პოლიტიკოსია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– პატონო თორნიკე, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები, წლის მიწურული. ხელისუფლება კვლავაც მარტოა პარლამენტში, ოპოზიცია შესვლას არ აპირებს და არჩევნებს ითხოვს. რა გზა რჩება ოპოზიციას, თუკი „ოცნება“ არ დათანხმდა ხელახალ არჩევნებს?

– რიგგარეშე არჩევნებს რომ არ თანხმდება „ოცნება“, ეს ფაქტია. ეს არის ჩვეულებრივი წითელი ხაზი და მოცემულობა. რიგგარეშეს ისინი არ დათანხმდებიან. შესაბამისად, დიდი შანსია მივიღოთ სცენარი, რომ „ოცნება“ იქნება პარლამენტში მარტო. ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს „ოცნებას“ დაასამარებს დასავლეთის თვალში.

– თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– მოდით რეალობას შევხედოთ თვალებში. რეალობა არის ის, რომ ელჩები ეუბნებიან ოპოზიციას, რომ შედით პარლამენტში. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ „ოცნებამ“ მოიგო ეს ბრძოლა დასავლეთის მხარდაჭერისთვის. „ოცნებას“ ყოველთვის შეუძლია თქვას, რომ მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პარლამენტში შესულიყო ოპოზიცია.

– აცხადებს კიდეც პრემიერი გახარია, რომ პარლამენტში 9 პოლიტიკური გაერთიანება და 60 ოპოზიციური მანდატი მივიღეთ და არ მესმის, ოპოზიცია ამ მიღწევას რატომ არ იყენებსო? უკეთესი რა შევთავაზოთო.

– ზუსტად ასეა. ხელისუფლებამ რაღაცები შესთავაზა ოპოზიციას და ეს შეთავაზებები ალბათ ღია გახდება ცოტა ხანში, როცა დასრულდება ეს მოლაპარაკებები. იმედი მაქვს, რომ კარგად დასრულდება და რამდენიმე პარტია მაინც შევა პარლამენტში. როგორც ჩანს, შეთავაზებები ისეთია, რომ ელჩები ფიქრობენ, რომ ოპოზიცია უნდა შევიდეს პარლამენტში. შესაბამისად, დასავლეთის მხარდაჭერისთვის, აშკარად იგებს ბრძოლას „ოცნება“ და ეს გამოიხატება ყველაფერში. ეს გამოიხატება მათ შორის იმაშიც, რომ ზოგიერთი ისტერიულად უტევს, იგივე ამერიკის ელჩს. როგორც ჩანს, ეს უკვე შედეგია იმისი, რომ დაინახეს, ამერიკა არ დაუდგა გვერდით ოპოზიციას.

– ამ მოცემულობიდან გამომდინარე, რისი იმედი აქვს ოპოზიციას?

– იმის იმედი, რომ ქვეყანა შევა კრიზისში და იძულებული გახდება „ოცნება“, ჩაატაროს ვადამდელი არჩევნები. გასაგებია, რომ გათვლა არის ეკონომიკურ კრიზისზე.

– იქნება ეკონომიკური კრიზისი?

– აი ეს არის მთავარი შეკითხვა, იქნება თუ არა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი? თუ იქნება ისეთი მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომ მართლაც ხელისუფლება ჩამოიშლება, კი ბატონო, იქნება ვადამდელი. ისე მე ვადამდელის საფუძ-

ველს მაინცდამაინც ვერ ვხედავ. იმიტომ, რომ არის საკმაოდ მორჩილი უმრავლესობა პარლამენტში. ყველაფერზე აწევს ხელს ჩვეულებრივად.

– ანუ ოპოზიცია ყველა ვარიანტში წაგებული რჩება?

– ასეა. ოპოზიცია ვაბანკზე წავიდა. მათი გათვლა იყო ეს, რომ ხელისუფლება ჩამოიშლებოდა, დღეს კი ეს მოცემულობა არ არის.

– რა შეთავაზებები მიიღო ოპოზიციამ ხელისუფლებისგან? ზემოთ საუბრობდით ამაზე...

– მე ეს გავიგე უცხოელებისგან, ჯერ დეტალებს არ ამბობენ, თუმცა შეფასებები ძალიან დადებითია. როდესაც დასრულდება ეს მოლაპარაკებები, დიდი იმედი მაქვს, რომ ისაუბრებენ ამ დეტალებზე. ელჩები მიიჩნევენ, რომ ეს შეთავაზებები კარგია. ანუ ბოიკოტის მიზანი თუ იყო, ოპოზიციას მოეხდინა „ქართული ოცნების“ საერთაშორისო იზოლაცია, ამან ვერ გაამართლა.

– ოპოზიციის დაფინანსების შეწყვეტაზე საუბარმა „ოცნება“ დააზარალაო. ასეა? დასავლეთმაც არ მოიწონა ეს ინიციატივა.

– ეს ოპოზიციასთან სავაჭროდ იყო. რა თქმა უნდა, დასავლეთი ამას არ მოიწონებდა. ამას „ოცნებაშიც“ მშვენივრად ხვდებიან. მათ სჭირდებათ, რა თქმა უნდა, დასავლეთის მხარდაჭერა. ამიტომ უკან დაიხიეს. ვთქვათ, არ შეუწყდა ოპოზიციას დაფინანსება და დადგნენ ქუჩაში, რას მიაღწევენ ქუჩაში?! ჩემი აზრით, მათთვის, ყოველ შემთხვევაში, პატარა პარტიებისთვის, პარლამენტში შესვლა აუცილებელია. ნაცმოძრაობას რაც შეეხება, ნაცმოძრაობა ისედაც გადარჩება. რომც არ იყოს პარლამენტში, რაღაც დონეზე გადარჩება.

– ნაციონალურ მოძრაობაშიც დიდი ცვლილებები დაიწყო თავმჯდომარის წამოსვლის შემდეგო.

– რაც აშკარად ნიშნავს პარტიის პოლიტიკის რადიკალიზაციას, იმიტომ, რომ ვაშაძე არ იყო რადიკალური პოლიტიკის მომხრე. ეს მის გამოსამშვიდობებელ განცხადებაში ძალიან კარგად გამოჩნდა. ახლა მივიღეთ ისეთი ნაცმოძრაობა, რომელიც გადის ქუჩაში საბრძოლველად.

– ნიკა მელიას თუ აირჩევენ, ის ქუჩის ლიდერიაო.

– ზუსტად. ის ქუჩაში ბრძოლისთვის დაბადებული პოლიტიკოსია. ნაკლებად, რაღაცა კულუარული პოლიტიკისთვის. ის ქუჩაში მებრძოლია და, როგორც ჩანს, პარტიის აქცენტი სწორედ ამაზე კეთდება, რომ ჰყავდეთ ქუჩაში მებრძოლი თავმჯდომარე.

– არის დღეს ის მოცემულობა, რომ ოპოზიციამ ქუჩიდან იბრძოლოს?

– სწორედ ეგაა საქმე. მოდით, გავითვალისწინოთ ქართველი ადამიანის ფსიქოლოგიაც. ქართველი ადამიანი, გაჭირვების გამო, რევოლუციას არ ახდენს და ხელისუფლებას არ დაამხობს. ამას აკეთებს ძალიან დიდი უსამართლობის და ძალადობის გამო. ჯერჯერობით ამ მხრივ „ქართული ოცნება“ წითელ ხაზს არ კვეთს რიგითი ქართველისთვის. როცა საქმე ეხება ძალადობასა და უსამართლობას „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის, არჩევანი მაინც „ოცნების“ სასარგებლოდ არის. აი ამაშია საქმე. მით უმეტეს, ნაცმოძრაობა წავიდა რადიკალიზაციისკენ. დიდი შანსია, რომ რადიკალიზაციას ბევრმა არ დაუჭიროს მხარი და ვაშაძის მსგავსად სხვებიც წამოვიდნენ ამ პარტიიდან, რაც ამ პარტიას კიდევ უფრო დაასუსტებს. მე არ მინდოდა ეს პარტია ქუჩაში დარჩენილიყო, თუმცა ეს მათი არჩევანია.

– როგორი პოლიტიკური წელი იყო ოპოზიციისთვის?

– ეს პოლიტიკური წელი იყო უამრავი შეცდომის ორივე მხრიდან, მაგრამ საბოლოო ჯამში ოპოზიციამ უფრო მეტი შეცდომა დაუშვა. ვერ გათვალა ძალიან ბევრი რაღაც და ახლა ამას იმკიან.

– მაინც რა ვერ გათვალეს?

– მაგალითად, ის, რაც პატარა პარტიებს დაემართათ არჩევნების შემდეგ, ეს აშკარად არის შედეგი მათი გამოუცდელობის და იმისი, რომ ისინი პოლიტიკურ თამაშში დაჩაგრეს სააკაშვილმა და ბოკერიამ.

– მათ ანკესზე წამოეგნენ?

– ზუსტად ასეა. აიყოლიეს პირველივე დღიდან, ათქმევინეს, რომ არ შევდივართ პარლამენტშიო. ახლა აშკარაა, რომ პარლამენტში შესვლა უნდათ, მაგრამ სიტყვას ვეღარ გადადიან. დიდმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, ამ საქმეების დიდოსტატებმა, ისინი ჩაითრიეს თავიანთ პოლიტიკურ თამაშში.

– თუ ხვდებიან ამას?

– დარწმუნებული ვარ ხვდებიან თავის შეცდომას, მაგრამ სიტუაციიდან გამოძრომა არც ისე მარტივია. დღეს არჩევანია ან პარლამენტში ჯდომა, რის გამოც გაილანძღებიან, ან ქუჩაში დარჩენა, ხოლო ქუჩაში ლიდერი ვინ არის? ვინ და ნაცმოძრაობა. დაიკარგებიან მათი ჩრდილის ქვეშ. დღეს ქართული პოლიტიკა ტრიალებს ორი ადამიანის, მიშას და ბიძინას გარშემო. დღეს კი ნაცმოძრაობა მუშაობს იმაზე, რომ მოხდეს პარლამენტის ბოიკოტირება. სამწუხაროდ, მესამე ძალა პრაქტიკულად არ ჩანს. ეს ამ არჩევნებზეც კარგად გამოჩნდა. ეს მიშასთვის გამარჯვება იყო იმ მხრივ, რომ მან დაამტკიცა შემდეგი: ოპოზიციაში პრაქტიკულად შეუცვლელია ნაცმოძრაობა. თუმცა ამავე დროს ისიც გამოჩნდა, რომ არჩევნების მოგების შანსი, მას არც ისე მაღალი აქვს. ბიძინა თუ მიშა? ასეთ დროს, ისევ ბიძინას ირჩევს ხალხი. როგორც ჩანს, დღეს ეს სიტუაცია ორივეს აწყობს, მიშასაც და ბიძინასაც.

„წულუკიანმა და მისმა კანტორამ ყველაფერი გააკეთა, რომ 2020-ის არჩევნებზე დომხალი ყოფილიყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

აქვს. იმიტომ, რომ ზუსტად მისი კანტორა იყო და პირადად ის ერთ-ერთი, ვინც ყველაფერს აკეთებდა, რომ 2020 წლის არჩევნებზე ყოფილიყო ის დომხალი, რაც იყო თუნდაც ამომრჩეველთა ერთიან სიასთან მიმართებაში.

– ამ ვითარებაში მოლაპარაკების შანსს მაინც ხედავთ? კელი დეგნანი მაინც იმედიანადაა განწყობილი და ამბობს, რომ შეთანხმებას პოლიტიკური გამბედაობა სჭირდება.

– პირველი მოსმენის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ტაიმ-აუტი აიღო. მან ვენეციის კომისიისგან და ეუთო ოდირისკენ გაიშვირა ხელი, რომ მას დაელოდება. ეს არის თითიდან გამოწოვილი დაპაუზება და ამ მიზნით კანონპროექტის შეჩერება. არავინ არ არის 2 წლის ბავშვი, ვერ მიხვდეს, რომ მათ ვიღაცამ თითი დაუქნია და ვიღაცამ უთხრა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. საერთაშორისო ორგანიზაციები მოიმიზეზეს. პირდაპირ იმას ვერ ეტყოდა კობახიძე, რომ სახელმძღვანელოებში, თეორიაში ერთს წერს და პრაქტიკაში მეორეს აკეთებს და ამიტომ მივიღე გადაწყვეტილებაო. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო „მისაღები“ იქნებოდა საზოგადოებისთვის, რომ თურმე როგორ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნას.

მახსოვს, როდესაც საკონსტიტუციო კომისიაში ვმუშაობდით, როგორ ვეხვეწებოდი კობახიძეს, რომ კონსტიტუციასთან მიმართებაში ვენეციის კომისიის დასკვნას დავლოდებოდით და მაშინაც არ ელოდებოდნენ. თუ ასე წელში გამართულები არიან და თუ ასეთი მყარი არგუმენტები აქვთ, რატომ მოიფიქრეს, რომ უნდა დაელოდონ. ეს ნიშნავს იმას, რომ ვიღაცამ მათ უთხრა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება და ცუდად იქცევიან. ვიღაცამ მათ უთხრა, რომ უნდა თუ არა „ქართულ ოცნებას“, მოუწევს დათმობა.

– ვიღაცაში დასავლეთს გულისხმობთ?

– ჩემი და თქვენი თითის დაქნევის რომ არ შეეშინდებოდა, ეს ხომ ფაქტია?! რა თქმა უნდა, ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებს ვგულისხმობ დასავლეთიდან. უბრალოდ, კონკრეტულად არ ვიცი, ვისთან ჰქონდათ შეხვედრა, ამიტომ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. ზოგადად ამიტომ ვამბობ.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი დათმობა და ნებისმიერი შეთანხმება მხოლოდ მოლაპარაკებების გზით შეიძლება მოხდეს. ოპოზიცია ყოველთვის ამბობს, რომ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, ოღონდ ის ორი პირობა, რომელიც ოპოზიციისთვის პრინციპული საკითხია, მასზე უნდა მოხდეს შეთანხმება.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ პირველი, ეს არის რიგგარეშე არჩევნები და მეორე, პოლიტპატიმრების გათავისუფლება. ეს არის ის წითელი ხაზი, რომლის გარეშეც მოლაპარაკებებს აზრი არ ექნება.

ბეჟან ნათელაშვილი: „საქართველოში დიქტატურას არავინ მოითმენს“

„ასეთ დროს ხელფასების ზრდა დანაშაულია“

ქვეყანაში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.

მარიამ მჭედლიშვილი

– მეათე მოწვევის უოპოზიციო პარლამენტი სამოქალაქო აქტივისტების აქციების ფონზე მუშაობს. ქვეყანაში პოლიტიკურის გარდა, სხვა სახის კრიზისებიცაა. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ამას აცნობიერებს?

– არა. ხელისუფლება ვერაფერს ვერ აცნობიერებს და არაადეკვატურად იქცევა. „ქართული ოცნება“ ვერ ახდენს რეაგირებას იმაზე, რაც ხდება, ვერ აგვარებს პრობლემებს. ადეკვატური მმართველი პარტია არ მოიქცეოდა ისე, როგორც „ოცნება“ იქცევა. ერთი შემთხვევა ავიღოთ – სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, სადაც ჩანს, თუ როგორ ხდება „ოცნების“ დეპუტატების განლაგება დარბაზში – ისინი ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს დარბაზი სავსეა. უმრავლესობა იკავებს ოპოზიციის ადგილებსაც. მინდა ვთქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი ღუპავს თავის გუნდს და გარემოცვას. რამე რომ იყოს, თვითონ გაიქცევა, ესენი კი დარჩებიან და პასუხს აგებენ.

– რაზე აგებენ პასუხს?

– სხვა საკითხებს არ შევეხები. ვისაუბრებ მხოლოდ არჩევნებზე. მოხდა გაყალბება. უბნების 40%-ზე მეტში დისბალანსი იყო. ამას წინ უძღოდა მოსახლეობის დაშინება, მოსყიდვა და სხვა. ეს ყველაფერი სისხლის სამართლის დანაშაულია და დასჯადია. ხელისუფლების უზურპაციას, გაყალბებულ არჩევნებს მოაყოლეს ადამიანების დარბევები, გამოსახლებები. ხელისუფლებამ სიცივეში საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენა ცივი წყლის ჭავლი. მსოფლიოში ზამთარში არსად არავის არ ასახლებენ ბინებიდან. თუნდაც, ადამიანები დარღვევებით და უკანონოდ ცხოვრობდნენ რომელიმე ტერიტორიაზე.

– ბიძინა ივანიშვილის შესაძლო გაქცევა ახსენეთ. არსებობს ინფორმაცია, რომ იგი წასვლას აპირებს, პარტიას კი კობახიძეს დაუტოვებს.

– ივანიშვილის პარტიიდან (არა მარტო პარტიიდან) წასვლა არ ნიშნავს, რომ ის საბოლოოდ გაექცევა პასუხისმგებლობას. ის თავის გუნდსაც წირავს და ვერც თვითონ აიცილებს საშინელ შედეგებს. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე როცა არ იყო, მაშინაც მართავდა პარტიასაც და ქვეყანას. მსოფლიომ მისი მანევრები შესანიშნავად იცის. ისაა ყველაფრის გამგებელი. სხვები არაფერს წარმოადგენენ. ისინი ბუტაფორიის როლს ასრულებენ.

– ახალ პარლამენტში მოხვედრილი „ოცნების“ ახალი სახეები კიდევ უფრო უცნაურ განცხადებებს აკეთებენ, ვიდრე მათი წინამორბედები. ახალი სახეები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ საქართველოში ადამიანები არ შიმშილობენ.

– წეღან რომ არაადეკვატურობა ვახსენე, ახლაც გავიმეორებ. ეს არის არაადეკვატურობის პიკი. ეს არ არის პოლიტიკური სიბეცე. ეს უკვე ადამიანური ანომალიაა. ადამიანები რომ შიმშილობენ, ამაზე ოფიციალური სტატისტიკაც მეტყველებს. მათ შორის, გაეროს მონაცემები. არ სმენიათ, რომ საქართველოში უჭმელობისგან წელიწადში 300 ბავშვი კვდება?! 77 000 ბავშვი შიმშილობს.

– ეს ჯერ კიდევ პანდემიამდე იყო.

– ცხადია. ახლა ეს ციფრები გასამმაგებულია. ასეულობით ათასი ადამიანი დარჩა ულუკმაპუროდ. 24 დეკემბრიდან უნდა შემსუბუქებულიყო შეზღუდვები, მაგრამ ეს სრულად არ ხდება. გაიხსნება მოლები, დიდი სავაჭრო ცენტრები, ბაზრობები კი – არა. არადა, ბაზრობები ის ადგილია, სადაც ნაკლებად შეძლებული ხალხი დადის. მოვაჭრეები კი ბაზრობებზე ვაჭრობით არჩენენ ოჯახებს. შვილები მათაც ჰყავთ. გამოდის, რომ ამ რეგულაციების შედეგად მეტი ბავშვი დარჩება მშიერი. გიორგი გუგავამ ამ დღეებში გამოიყენა ტერმინი „სოციალური ფაშიზმი“. მე მას სრულად ვეთანხმები. ათეულობით ათასი ადამიანის გაწირვაც სოციალური ფაშიზმია. მეგონა, რომ ბაზრობების მოვაჭრეები ამის გამო რუსთაველზე გამოვიდოდნენ.

– შეიძლება მომავალში გამოვიდნენ?

– ამ ხალხის ქუჩაში გამოსვლა ჩემი სურვილი კი არაა. ეს იქნებოდა ლოგიკური. ჩვენი უფლებებისათვის უნდა ვიბრძოლოთ. იმის ცდა, თუ როდის გაიმართება ბაიდენის ინაუგურაცია და როდის მოიცლის საქართველოში დემოკრატიის დასამყარებლად აშშ, სწორი არაა. ჩვენც ხომ რამე უნდა გავაკეთოთ! მომავალში, ალბათ, დაზარალებულები გამოვლენ. ახლა ზამთარია და ოპოზიციაც პანდემიის გამო თავს იკავებს მასობრივი აქციებისაგან.

– პოლიტიკური კრიზისი და უმძიმესი სოციალური მდგომარეობა ვახსენეთ. კიდევ რა გამოწვევებია ქვეყანაში?

– ჩამოთვლა, უბრალოდ, შეუძლებელია. ვერ ვხედავ ვერც ერთ სფეროს, სადაც კატასტროფა, უბედურება და ფსკერი არ იყოს. ერთადერთი, რაც უბადლოდ მიმდინარეობს, ამ ხელისუფლების ჩინოსნების ჯიბეების გასქელებაა.

– ზოგადად, ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ხალხს შიმშილი არ ემუქრება. კერძო სექტორი კი უმძიმეს მდგომარეობაში ვართ. როცა ასეთი კრიზისია, არ შეიძლებოდა 2021 წლიდან ხელფასები მაინც არ გაეზარდათ საბიუჯეტო ორგანიზაციებში?

– პირადად მე მიმაჩნია, რომ ასეთ დროს ხელფასების ზრდა დანაშაულია. ათეულ ათასობით მოქალაქე მშიერი რჩება, ესენი კი სხვებს უზრდიან ხელფასებს. პედაგოგებს პატივს ვცემ, მაგრამ არც მათი ხელფასების ზრდის დროა. ხელისუფლებას მასწავლებლების უმრავლესობა საარჩევნო ხელის ბიჭებად ჰყავს გადაქცეული. მათ შორის არიან პატიოსანი და კეთილსინდისიერი პიროვნებებიც. ასეთი იყო სკოლის დირექტორი ია კერძაია, რომელიც ამ ხელისუფლებამ იმსხვერპლა.

– 2021 წლის პირველ თვეებში რა მოხდება? როგორია თქვენი პროგნოზი?

– არ ვიცი ზუსტად, რომელ თვეში რა იქნება, მაგრამ ერთპარტიული პარლამენტი და ასეთი ყოფა-ცხოვრება დიდხანს ვერ გაგრძელდება. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც არ იძლევა იმის საბაბს, რომ საქართველოში იყოს ერთპარტიული დიქტატურა. საქართველოში ოლიგარქიული მაფია დასრულდება. კრიმინალური დაჯგუფება სახელწოდებით „ქართული ოცნება“ დომინოს პრინციპით დაიშლება. მეტეოროლოგიურ გაზაფხულს პოლიტიკური გამოზაფხულებაც მოჰყვება. საქართველოში დიქტატურას არავინ არ დაუშვებს.

დათო ლორთქიფანიძე: „ოპოზიცია პარლამენტში აუცილებელია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, ოპოზიციამ პარლამენტის მანდატების დატოვებაზე განცხადებები შეიტანა, თუმცა, მოლაპარაკებები ისევ შეიძლება გაგრძელდეს. მოლაპარაკებები რაზეა, განმეორებითი არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნაზე თუ პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე?

– ოპოზიცია პირობითად რამდენიმე ნაწილად გავყოთ. ერთი ნაწილი კატეგორიულად ითხოვს, განმეორებითი არჩევნები დაინიშნოს და თარიღი გამოცხადდეს. მეორე ნაწილი ამბობს, თუ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილება იქნება, ცვლილებები საარჩევნო კომისიას და სხვა საკითხებს შეეხება, შეიძლება პარლამენტში შევიდნენ. თავიდან იდეა ჰქონდათ, მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ. ახლა, მგონი, თვითონ ვერ არიან ჩამოყალიბებული და არ იციან, რა უნდათ.

– რამ შეიტანა დისონანსი მათ პოზიციებში?

– ჩემთვის ძალიან ძნელია იმის თქმა, მათ რა აქვთ გუნებაში და თავში რა უტრიალებთ. საერთო ჯამში, თუ კარგად დავუკვირდებით, ისინი ერთ რამეზე „თანხმდებიან“. თუ პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, მოვლენები კეთილად არ განვითარდება, ოპოზიციას საშუალება არ ექნება საკონსტიტუციო ცვლილება განახორციელოს, ამ შემთხვევაში ისინი პარლამენტში შესვლის აზრს ვერ ხედავენ. ამას ამბობს „გირჩის“ რაღაც ნაწილი, იგივე მოსაზრებაზეა ელისაშვილის ჯგუფი.

რამ შეცვალა მათი დამოკიდებულება ამ საკითხებთან დაკავშირებით, ამის თქმა ჩემთვის ძალიან ძნელია. ფაქტია, რომ ისინი ამაში თანმიმდევრულები არ არიან. მოთხოვნებს მეტ-ნაკლები „თანმიმდევრობით“ მიჰყვებიან. ფაქტია, მე-10 მოწვევის პარლამენტში, სხდომათა დარბაზში, მმართველი პოლიტიკური ძალის გარდა, არავინაა წარმოდგენილი. თუმცა, მათი უფლებამოსილებები ცნობილია და ისინი კანონმდებლობის შესაბამისად, დეპუტატებად ითვლებიან.

– ცოტა უცნაური მგონია, პარლამენტში ოპოზიციის განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე. წლების განმავლობაში საუბრობდნენ იმაზე, პარლამენტში არც ერთ ძალას არ უნდა ჰქონოდა საკონსტიტუციო უმრავლესობა. ახლა ოპოზიცია როგორ შეძლებს საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას?

– ოპოზიციას თუ შეეძლება საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება, მაშინ ოპოზიციური ძალა ვეღარ იქნება, მაგრამ ისინი ამბობენ, „ოცნებასთან“ ერთად რომ განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილებები, ანუ მინიმუმ 113 დეპუტატი რომ იყოს პარლამენტში და მმართველი პოლიტიკური ძალის ნების შემთხვევაში, ისინიც თუ დაგვეთანხმებიან, მაშინ განვახორციელებთ საკონსტიტუციო ცვლილებასო. თუ 113 დეპუტატზე ნაკლები ვიქნებით, მაშინ პარლამენტში შესვლას აზრი არ აქვსო.

– ამას ამბობენ 2%-იანი პარტიები. საინტერესოა, რის შეცვლა უნდათ კონსტიტუციაში?

– პოლიტიკურმა ძალამ საკონსტიტუციო ცვლილება რომ განახორციელოს, მას უნდა ჰქონდეს თანაზომადი მხარდაჭერა. 2%-იანი იქნება თუ 3%-იანი, მაგას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, საკონსტიტუციო ცვლილებას ვერ განახორციელებს. ამიტომ თუ მათ საკონსტიტუციო ცვლილებისთვის საინტერესო იდეები აქვთ, შეუძლიათ, ელემენტარულად გააჟღერონ, პარლამენტის წევრებთან იმუშაონ და განახორციელონ ცვლილება. აუცილებელი არ არის საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იყვნენ.

ვფიქრობ, მათი განსაკუთრებული რუდუნებით წამოყენებული მოთხოვნა მხოლოდ ერთი რამისკენაა მიმართული, პოლიტიკური ვაჭრობისკენ. მათ ეს პოლიტიკური ვაჭრობისთვის სჭირდებათ.

– თქვენ პარლამენტის წევრი იყავით და იცით, რას ნიშნავს ოპოზიციის გარეშე მომუშავე პარლამენტი, რაიმე თუ დააკლდება ოპოზიციის არ შესვლით პარლამენტს?

– ოპოზიციური ძალები კლასიკური გაგებით პარლამენტში აუცილებელია, მაგრამ რამდენიმე „პოლიტიკური ძალა“ ნამდვილად არ არის ოპოზიცია. ისინი დესტრუქციული ძალებია, რომლებიც ნამდვილად არ იმსახურებენ პოლიტიკური ძალების რეგალია ჰქონდეთ. თუმცა, აჩემებული აქვთ, პოლიტიკური პარტია ვართო. რა თქმა უნდა, პარლამენტში ერთი პოლიტიკური ძალის ყოფნა კომფორტული არ არის.

არც დემოკრატიისთვისაა კომფორტული, გარკვეულ უხერხულობებს ქმნის. რაღაც პერიოდის შემდეგ, თუ ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციურ ძალებს შორის შეთანხმება ვერ შედგება, ეს იმის მაუწყებელი იქნება (ეჭვი მაქვს), რომ ე.წ. ოპოზიციური ძალები უფრო მეტი თავდასხმებისთვის ემზადებიან.

– როგორ?

– მოგეხსენებათ, ე.წ. ოპოზიციურ ძალებს ევროპარლამენტში ჰყავთ სერიოზული ლობისტები, ვთქვათ, იგივე სახალხო პარტიის სახით. ალბათ გახსოვთ, ახლო წარსულში როგორი თავდასხმები იყო.

– ევროპარლამენტში თუ თვითონ არ ისხდებიან, თავდასხმებიც არ იქნება მწვავე.

– ცნობილი „ოპოზიციონერები“, ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ნეგატივით იყვნენ დაკავებული, მათი არყოფნა ვერ შეარბილებს მათი მხარდამჭერების აგრესიას ჩვენ მიმართ იმიტომ, რომ ისინი სხვა კავშირებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

– რა სხვა კავშირებით?

– უნდათ წარმოაჩინონ, რომ მათი მეგობრები მხოლოდ საქართველოს სიკეთისთვის იბრძვიან. თუმცა, მათ განცხადებები არ გაუკეთებიათ, როდესაც ჩვენი ოპოზიციური ძალები საქართველოში მასობრივად ადამიანების უფლებების დარღვევით, მკვლელობებით, წამებებით, ციხეებში სისხლისღვრით იყვნენ დაკავებული. არ მახსოვს, იმ დროს ნაციონალების ევროპელ მეგობრებს ხმა აემაღლებინოთ. იმის იმედი ნამდვილად არ მაქვს, რომ ისინი ქართული დემოკრატიის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის ინტერესებით იქნებიან დაკავებული.

– შიგნით, „ოცნებიდან“ ხომ არ შეიძლება დაიბადოს ოპოზიცია, რადგან ჩვენ გვახსოვს ერთ მუშტად შეკრული „ოცნება“ და, შემდეგ გარკვეული საკითხის გამო, იქიდან გამოყოფილი ჯგუფები, მაგალითად, წინა პარლამენტში.

– გამორიცხული არაფერია, რადგან ყველამ ერთად ვნახეთ „ოცნების“ დამფუძნებლები, ლიდერები როგორ გავიდნენ გვერდით და ძალიან სერიოზული ოპონირების რეჟიმში გადავიდნენ. დღეს ისინი მმართველი პოლიტიკური ძალის სერიოზული ოპონენტები არიან.

თუმცა, ამას სჭირდება გარკვეული დრო. ერთ კვირაში რომ გამოეყონ, ეს არ იქნება ბუნებრივი პოლიტიკური პროცესი. ზოგადად, პოლიტიკური პროცესები შემდგომ როგორ აისახება პოლიტიკაზე, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ოპოზიციის ჩამოყალიბება მყისიერად არ ხდება. წვეთწვეთად უნდა შეივსოს ერთმანეთის პოზიციის გაუზიარებლობა, ერთმანეთის მოსმენის უნარის დაკარგვა, განსხვავებული აზრი ნელ-ნელა უნდა ჩამოყალიბდეს. მერე შესაძლებელია გამოყოფა. 90 კაცში განსხვავებული მოსაზრებები რომ წარმოიშვას, ამას დასაშვებად მივიჩნევ. სიყვარულით შექმნილი ოჯახებიც იშლება და 90 კაცში განსხვავებული აზრები რომ წარმოიშვას, რა გასაკვირია.

– კობახიძემ თქვა, ნაცმოძრაობა და მისი განაყოფები პოლიტიკური ველიდან გასაყვანი იყო და ამაში თვითონაც გვეხმარებიანო. ამ განცხადებას როგორ შეაფასებთ?

– მე თქვენი დიდი ხნის რესპონდენტი ვარ და ამას ვაცხადებ 2004 წლიდან.

– კი, მაგრამ გვეხმარებიანო. საინტერესოა, როგორ ეხმარებიან.

– ეგ კობახიძეს უნდა ჰკითხოთ. ეგენი პოლიტიკური ველიდან გასაყვანები რომ იყვნენ, ამას ვიზიარებ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზის გამო. ნაცმოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ არც ერთ წარმომადგენელს არ ეყო იმის ქართველობა, საჯაროდ ბოდიში მოეხადათ მათ მიერ ჩადენილი ქმედებების გამო. ერთ ვინმეს თუ იხსენებთ, ვინც ბოდიში მოუხადა საზოგადოებას, თქვა, მე ბოდიშს მოვიხდიო. მარტო ამისთვის ეკუთვნით პოლიტიკური სივრციდან გასვლა.

დღეს ცოტა სხვა მოცემულობაა. ისინი სხვაგვარად წარმოაჩენენ საკუთარ თავს. დარწმუნებული ვარ, თვითლიკვიდაციით ნამდვილად არ დაკავდებიან.

– ისე, ნაცებს ეგონათ, მათი რეაბილიტაცია მომხდარი იყო და 2020 წელს გაიმარჯვებდნენ. სულ გაიძახოდნენ, ვიმარჯვებთო. ამას მეუბნებიან, რაიონებში.

– ეგ მათი პოლიტიკური სვლაა იმისათვის, რომ მათი მხარდამჭერები შეაგულიანონ და მოწინააღმდეგეები დააფრთხონ. ეს არ არის სერიოზული განცხადება, მაგრამ ამან ხელი შეუწყო იმას, რომ მათი მხარდამჭერები ხილულად არ შემცირდა.

დავით სერგეენკო: „თაკო ჩარკვიანის პარტიისთვის ფული არ შეგვითავაზებია“

პარლამენტის ვიცე-სპიკერი დავით სერგეენკო გამორიცხავს „ქართული ოცნების“ მხრიდან „კანონი და სამართლის“ პარტიის წევრებისთვის პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ თანხის შეთავაზებას.

ამის შესახებ დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს დასმულ შეკითხვაზე პასუხისას განუცხადა, რითაც გამოეხმაურა ამ საკითხზე „კანონი და სამართლის“ ლიდერის, თაკო ჩარკვიანის განცხადებას.

დავით სერგეენკოს თქმით, ამას ცალსახად გამორიცხავს.

– იმას, რომ ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმების მიღწევის მრავალგვარი მცდელობა არის, ამას გიდასტურებთ, თუმცა ეს არის კანონის ფარგლებში და საჯარო კომუნიკაციის ფარგლებში, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ჯარისკაცი თეიმურაზ გიუნაშვილი გაუჩინარდა

ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ჯარისკაცი გაუჩინარდა.

35 წლის თეიმურაზ გიუნაშვილი სოფელ ფლავიდანაა, ოჯახი ამბობს, რომ ის სამხედრო ბაზიდან 20 დეკემბერს გაუჩინარდა. ჯარისკაცი ბაზაზე 28 დეკემბრამდე უნდა ყოფილიყო.

– არსად არ არის აბსოლუტურად, ესე იგი, კვალწმინდად ჩაიყლაპა, გამოვიდაო დილითაო და ესე იგი ტელეფონი დატოვა ბალიშის ქვეშ, მე არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, ტელეფონს ჯიბიდან არ იშორებდა, არსად არ არის, არც ნათესავებში, არც მეგობრებთან, რა მოხდა, ვერ ვიგებ, – ამბობს ოჯახის წევრი.

ოჯახის ინფორმაციით, ბაზიდან ჯარისკაცი 11-ის 20 წუთზე, არასამხედრო ტანსაცმლით გავიდა, თან არაფერი წაუღია, ერთ საათში კი მისი კვალი დაიკარგა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ჯარისკაცის გაუჩინარება დაადასტურა.

„საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე თეიმურაზ გიუნაშვილი მსახურობს თავდაცვის ძალებში, მე-4 მექანიზებულ ბრიგადაში. აღნიშნული სამხედრო პირი 21 დეკემბერს 09:00 სთ-მდე იმყოფებოდა განწესში და ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო განწესის შეცვლის შემდეგ ისარგებლა კონტრაქტით გათვალისწინებული დათხოვნის უფლებით და დატოვა სამხედრო ნაწილის ტერიტორია, რაც დასტურდება პატაკითა და გამშვები პუნქტის სათვალთვალო ვიდეო კამერებით. 22 დეკემბერს, როდესაც აღნიშნული პირი შესაბამის დროს არ გამოცხადდა სამხედრო ნაწილში, მისმა უშუალო მეთაურმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დროულად განახორციელა სატელეფონო ზარები ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან. ამ დროისთვის, თავდაცვის სამინისტრო სრულ კოორდინაციაშია შესაბამის უწყებასთან სამხედრო მოსამსახურის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით“ – აცხადებენ უწყებაში.

„კვალს ვერავინ პოულობს, ღამის დარდით დავიხოცოთ“

ლაგოდეხში 16 წლის გოგონა გაიტაცეს

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, სოფელ კაბალში, ოჯახი და სამართალდამცველები გატაცებულ 16 წლის გოგონას ეძებენ. გოგონა სკოლის მოსწავლეა. წინასწარი ინფორმაციით, ის მეზობელმა ახალგაზრდამ, რამდენიმე დამხმარე პირთან ერთად, ქუჩიდან ძალის გამოყენებით წაიყვანა და მას შემდეგ არ გამოჩენილა. გატაცებული გოგონას მამა „პრაიმტაიმნიუსთან“ ამბობს, რომ შვილის შესახებ არაფერი იცის.

– კვალს ვერავინ პოულობს. ყველგან ვეძებთ, პოლიციაც ეძებს, ყველა გამოკითხეს, მაგრამ ჯერ არსად ჩანს. ვინც წაიყვანა, მეზობლის ბიჭია, მანამდე არც ვიცოდით, თუ მოსწონდა. არც ვიცი, ოჯახისთვის სჭირდება, თუ რისთვის. მანქანაც ცნობილია, მაგრამ ვერსად პოულობენ. მისი ოჯახი მედავება, პოლიცია რატომ ჩარიეო. ღამის დარდით დავიხოცოთ, აბა რა უნდა მექნა, – განაცხადა მამამ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, რომ გოგონას და მისი თანმხლები პირების ძებნა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ბათუმში ავარიაში 3 ადამიანი დაშავდა

22 დეკემბერს ბათუმში, ბაგრატიონისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 3 ადამიანი დაშავდა.

დაშავებულები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. პირველადი ინფორმაციით, დაშავებულებს სხეულზე მრავლობითი დაზიანება აღენიშნებათ. ავტოსაგზაო შემთხვევისას ბაგრატიონის ქუჩაზე მოძრავი მსუბუქი ავტომობილი ტროტუარზე გადავიდა და იქვე მდებარე ერთ-ერთ მაღაზიას შეეჯახა. ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

პოლიცია შალვა გულუას ეძებს, რომლის მანქანა ყულიშკარში იპოვეს

ბადრი ესებუასთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიცია ახლა უკვე შალვა გულუასაც ეძებს.

გულუა იმ მანქანის მფლობელია, რომელსაც 21 დეკემბერს სოფელ ყულიშკარში დასახლებიდან მოშორებით ესროლეს. შალვა გულუას ოჯახი არ უარყოფს, რომ მათი შვილი და ესებუა ერთმანეთს იცნობდნენ, თუმცა ახლო კონტაქტსა და რაიმე კავშირს მათ შორის არ ადასტურებს.

შალვა გულუა დისტრიბუტორია და, შესაბამისად, მას ღამით გადაადგილების საშვი აქვს. გავრცელებული ინფორმაციით კი, სწორედ გულუას მფლობელობაში არსებული მანქანით გადაადგილდებოდა ბადრი ესებუა.

კიდევ ერთი ვერსიით, გულუას ესებუასთან საკვები მიჰქონდა, ოჯახი კი ამტკიცებს, რომ ახალგაზრდა კაცი სანადაროდ იყო წასული. თუმცა მისი მონადირე ძაღლი სახლშია. სახლშია ასევე შალვა გულუას მობილური ტელეფონი.

შალვა გულუას ოჯახთან ნაცნობობას ადასტურებს ბადრი ესებუას ბიძაც.

23 დეკემბერს შსს-მ შალვა გულუას გაუჩინარების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

გამოძიება სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა შალვა გულუას დედის განცხადების საფუძველზე დაიწყეს.

განცხადებაში ავტორი აღნიშნავს, რომ მისი შვილი 20 დეკემბერს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

სოფელ ყულიშკართან აღმოჩენილი წითელი ფერის მსუბუქი ავტომობილის, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარე ადმინისტრაციული საქმისწარმოების ფარგლებში გაირკვა, რომ აღნიშნული ავტომობილი აღრიცხულია სხვა პირზე, რომელმაც რეგისტრაციის გარეშე მიჰყიდა და ავტომობილით სარგებლობდა შალვა გულუა.

შალვა გულუას ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით მიმდინარეობს საგამოძიებო, ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებები.

24 წლის თომა ბაბისაშვილი დის ფაქტობრივი ქმრის მკვლელობისთვის დააკავეს

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში ცოლის ძმამ სიძე მოკლა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად მიყენებული ჭრილობით, ახალგაზრდა მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარიდან მალე შსს-მ განცხადება გავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე, 1 პირი – 1996 წელს დაბადებული თ.ბ. დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თ.ბ.-მ, წარსულში არსებული უთანხმოების გამო, მის დასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ, 1982 წელს დაბადებულ ზ.ბ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

სამართალდამცველებმა თ.ბ. მომხდარი დანაშაულიდან მალევე, სოფელ ფშაველში დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“.

დაკავებულის მამა თამაზ ბაბისაშვილი დეტალებს „კურიერთან“ იხსენებს და ყვება, რომ ყოფილ სიძეს არ იცნობდა, მასთან ურთიერთობა არ ჰქონდა, თუმცა ქალიშვილისგან იცოდა, რომ მეუღლესთან შერიგება აღარ სურდა.

ქალი ძმასთან ცხოვრობდა, სადაც ყოფილი მეუღლე ეტაპობრივად აკითხავდა. დაკავებული თომა ბაბისაშვილის მამა არ გამორიცხავს, რომ სისხლიანი დაპირისპირებაც ამ მიზეზით მოხდა.

– მიმალავდა ყველაფერს ჩემი შვილი, არ უნდოდა რამე შარში გავეხვიე და თვითონ დაბოლოვა ყველაფერი. რუსთავიდან ჩამოსულა, ალბათ თავის ცოლის წაყვანა უნდოდა და ამან არ შეუშვა ეზოში. დაპირისპირება იქნებოდა, ერთხელ უსვრია, მე არ ვიყავი აქ, ეზოს კარებში მოხდა ყველაფერი. სხვისი იარაღი იყო, ნათხოვარი ჰქონდა. რისთვის ჩამოვიდა საერთოდ, დაღუპა ჩემი შვილი, – უთხრა „კურიერს“ მკვლელობაში ბრალდებულის მამამ.

შსს-მ რეგულაციების დარღვევის 675 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 675 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 75 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 600 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ო.ტ., ყაჩაღობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული მიმდინარე წლის 22 დეკემბერს, თბილისში, თავს დაესხა „გალფის“ ავტოგასამართ სადგურს და ოპერატორს იარაღის მუქარით 100 ლარი გასტაცა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ო.ტ. მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – „RETAY XR“-ის მოდელის ხმოვანი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებულმა აღიარა, რომ 2020 წლის 16 დეკემბერს ასევე თავს დაესხა იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „იოლის“ ფილიალს, ცივი იარაღის მუქარით მაღაზიის სალაროდან 200 ლარი გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საქმეზე მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე კიდევ ერთი ნაფიცი მსაჯული შეარჩიეს

გორის რაიონულ სასამართლოში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე კიდევ ერთი ნაფიც მსაჯული შეირჩა. მხარეებმა 14 ნაფიც მსაჯულიდან 3 უკვე შეარჩიეს.

საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვის სურვილი და თანხმობა, თავისუფლების აღკვეთასა და ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ეპიზოდზე ბრალდებულებიდან სამმა ბრალდებულმა – არჩილ გაგნიძემ, ნიკოლოზ რევაზიშვილმა და ვახტანგ ჩიქოვანმა გამოთქვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მორაგბე არჩილ გაგნიძის ადვოკატმა, ბექა ნემსიწვერიძემ განუცხადა, 23 დეკემბრის პროცესზე ნაფიცმსაჯულობის 9 კანდიდატი გამოცხადდა.

– გამოცხადდა ნაფიცმსაჯულობის 9 კანდიდატი და აქედან ავირჩიეთ ერთი. მიგვაჩნია, რომ ის შეძლებს იყოს ობიექტური, დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებაში და მიიღებს საქმეზე სწორ გადაწყვეტილებას. ჯამში 3 ნაფიცი მსაჯული გვყავს, 2 გვყავდა, უნდა შევარჩიოთ კიდევ 11 ნაფიც მსაჯული, – აღნიშნა ბექა ნემსიწვერიძემ.

ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს აღმოსავლეთის განყოფილების თანამშრომლების მიერ, ქალაქ მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, განხორციელებული სასაქონლო ზედნადებების მონიტორინგის მიზნით, გატარებული კონტროლის ღონისძიების შედეგად, სასაქონლო ზედნადების გარეშე, 35 კუბური მეტრი ხე-ტყის (პირველადი გადამუშავების პროდუქტი, დახერხილი ხის მასალა) ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა.

უწყების ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის 32 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს შეეფარდა ფულადი ჯარიმა 10.000 ლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნული საქონელი ჩამოერთვა.

მოლდოვის პრემიერ-მინისტრი თანამდებობას ტოვებს

მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა, იონ კიკუმ მთავრობის გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

იონ კიკუს თქმით, მან ეს გადაწყვეტილება ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტთან, იგორ დოდონთან და პარლამენტის სპიკერთან, ზნაიდა გრეცეანიისთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

კიკუს მტკიცებით, მათი მიზანია, ქვეყანაში შესაძლებელი გახდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რათა მოლდოვა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

აღსანიშნავია, რომ მთავრობა დოდონის პრეზიდენტობის ვადის დასრულებამდე ერთი დღით ადრე გადადგა.

არჩეული პრეზიდენტის მაია სანდუს ინაუგურაცია 24 დეკემბერს გაიმართება.

თურქეთში გაზეთის რედაქტორს 27 წელი მიუსაჯეს

თურქეთის სასამართლომ ოპოზიციური გაზეთის ყოფილ მთავარ რედაქტორს, ჯან დიუნდარს, 27 წელზე მეტი ხნით პატიმრობა მიუსაჯა.

დიუნდარს ბრალი ტერორიზმსა და ჯაშუშობაში დასდეს.

ჟურნალისტს პატიმრობა დაუსწრებლად მიუსაჯეს, ვინაიდან ის ამჟამად გერმანიაში იმყოფება. სასამართლო პროცესზე დასწრებაზე უარი განაცხადეს დიუნდარის ადვოკატებმაც, ვინაიდან, მათი განმარტებით, ბრალდება პოლიტიკურად მოტივირებულია.

ჯან დიუნდარმა გერმანიას 2016 წელს მას შემდეგ შეაფარა თავი, რაც მას თურქული იარაღის სირიელი მეამბოხეებისთვის მიწოდების შესახებ გამოქვეყნებული მასალის გამო ჯაშუშობაში დასდეს ბრალი.

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მაშინ განაცხადა, რომ დიუნდარს ეს რეპორტაჟი ძვირად დაუჯდებოდა.

რუსეთის პრეზიდენტს სამუდამო იმუნიტეტი ეძლევა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ახალ კანონს მოაწერა ხელი. კანონის თანახმად რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი უვადოდ სენატორი ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უფლება ეძლევა, სახელმწიფო დუმაში კანონპროექტები შეიტანოს. ამას გარდა, მას სამუდამო იმუნიტეტი ეძლევა. სენატორებს რუსეთში ექვსი წლის ვადით ირჩევენ. ყოფილი პრეზიდენტი კი სამუდამოდ სენატორი ხდება.

დღეს რუსეთში ორი ცოცხალი პრეზიდენტია, დიმიტრი მედვედევი და მიხეილ გორბაჩოვი. ამ უკანასკნელზე ხსენებული კანონი არ ვრცელდება. გორბაჩოვი სსრკ-ს პრეზიდენტი იყო და არა რუსეთის.

უკრაინის ექსპრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს აზრით, კანონი სენატორობის შესახებ მხოლოდ ერთზე მიუთითებს: რუსეთში დღეს არსებული რეჟიმი არამყარია.

– პუტინს დაპატიმრების ეშინია! – თვლის პოროშენკო.

უკრაინამ ვაქცინაციის გეგმა დაამტკიცა

უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრომ 2021-22 წლების ვაქცინაციის გეგმა დაამტკიცა. მის თანახმად, აცრები უკვე 2021 წლის თებერვალში უნდა დაიწყოს.

– ჩვენ 2021-22 წლებში მოსახლეობის მინიმუმ 50% უნდა ავცრათ, – ამბობს პრეზიდენტი ზელენსკი.

უკრაინას ვაქცინაციაში საფრანგეთი დაეხმარება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბოროტმოქმედები შეცდომით სხვა სახლში შეიჭრნენ და პატრონებს ზარალის ანაზღაურება შესთავაზეს

კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ლონდონში ბოროტმოქმედები შეცდომით სხვა სახლში შეიჭრნენ, პატრონებს ბოდიში მოუხადეს და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება შესთავაზეს.

პარასკევ საღამოს ორი ადგილობრივი მცხოვრები სახლში ტელევიზორს უყურებდა. უცბად ხმაური შემოესმათ და მიხვდნენ, რომ ვიღაც მათი სახლის კარს ამტვრევდა.

ამის შემდეგ ოთახში ორი მამაკაცი შეიჭრა. ერთ-ერთმა მათგანმა მათ თავს ზევით ჩაქუჩი აღმართა. მან მოითხოვა ფული, რომელიც, მისი მტკიცებით, სახლის პატრონებს მართებდათ.

თავდამსხმელები მალევე მიხვდნენ, რომ შეცდომით სხვა სახლში შეიჭრნენ, ბოდიში მოიხადეს და მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც კი შესთავაზეს. ამის შემდეგ კი მათ დაუბრკოლებლად დატოვეს ბინა.

სახლის პატრონებმა პოლიცია გამოიძახეს, რის შემდეგაც სამართალდამცავებმა იპოვეს და დააკავეს ქალაქ სარნიას მკვიდრი 27 წლის მამაკაცები. ორივე დაკავებულს საცხოვრებელში უკანონოდ შეღწევის, ხუთი ათას კანადურ დოლარამდე ზარალის მიყენებისა და იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდება წაუყენეს.

ფრანგმა ლატარიაში რეკორდული თანხა 200 მილიონი ევრო მოიგო

საფრანგეთის მკვიდრმა ლატარიაში 200 მილიონი ევრო მოიგო, რაც რეკორდულია როგორც ქვეყნისთვის, ისე ევროპაში ამ თამაშის არსებობის ისტორიაში. ამ ინფორმაციას ლატარია ევრომილიონის ორგანიზაცია საკუთარ გვერდზე ავრცელებს. ადრინდელი რეკორდი დიდი ბრიტანეთის მკვიდრს ეკუთვნოდა და ის 2019 წელს დამყარდა. მაშინ მოგებამ 190 მილიონი ევრო შეადგინა. აქამდე საფრანგეთში ყველაზე დიდი მოგება 170 მილიონ ევროს შეადგენდა.

– ახლა, როდესაც ჯეკპოტი 200 მილიონი ევრო მოგებულია, მოგების ზღვარი 210 მილიონამდე გაიზარდა, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

მოთხილამურე ქალი მოქმედ ვულკანში ჩავარდა და გადარჩა

ამერიკის ორეგონის შტატში მოთხილამურე ქალი მთა მაუნტ-ჰუდის ვულკანის ნაპრალში ჩავარდა და ცოცხალი გადარჩა.

კეროლაინ სანდბაუმი თხილამურებით მეუღლესთან ერთად სრიალებდა, რა დროსაც თოვლით დაფარულ ოთხი მეტრი სიღრმის ვულკანურ ნაპრალში ჩავარდა. მთა მაუნტ-ჰუდი მოქმედ ვულკანად ითვლება. კლამაკასის ოლქის შერიფის ოფისში განაცხადეს, რომ ქალი ე.წ. ფუმაროლაში ჩავარდა, როდესაც მთის მწვერვალის მახლობლად იმყოფებოდა, რომლის სიმაღლე 3,4 ათას მეტრს შეადგენს. შორიახლოს მყოფმა მთამსვლელმა მომხდარის შესახებ ხელისუფლებას აცნობა. მან განაცხადა, დაინახა, რომ სანდბაუმმა ჩავარდნის წინ დასასვენებლად ჩაიმუხლა. როდესაც მისკენ მიიხედა, დაინახა, რომ იმ ადგილზე, სადაც ქალი იმყოფებოდა, თოვლში ხვრელი იყო გაჩენილი.

– შემთხვევის თვითმხილველი მეორე მთამსვლელი რომ არ გამხდარიყო, სანდბაუმის პოვნა ძალიან ძნელი იქნებოდა. ფუმაროლში ჰაერი შესაძლოა მომწამვლელი და, შესაბამისად, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი იყოს, ხაზგასმით აღნიშნეს შერიფის ოფისში.

თვითმხილველმა მაშველები გამოიძახა და თავადვე მოახერხა ფუმაროლამდე მიღწევა. მან ქალთან თოკი ჩაუშვა, რომელმაც ის წელზე შემოიხვია. ამის შემდეგ მან ქალი ნაპრალის ზედაპირზე ამოიყვანა. ამ ინციდენტის შედეგად ქალმა მხარი დაიზიანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ ცაგურიას საახალწლო ჩაწერაზე კურიოზი შეემთხვა



კომპოზიტორს, მომღერალსა და პოეტს თემურ ცაგურიას „ტევე ფორმულას“ საახალწლო გადაცემის ჩაწერაზე კურიოზი შეემთხვა:

– „ტვ ფორმულამ“ მიმიწვია საახალწლო გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად კაჭრეთში ჩემი სიმღერით „მოეფერეთ ერთმანეთს“, მშვენიერი სასტუმრო ამბასადორი, რჩეული საზოგადოება, წამყვანი უსაყვარლესი და ულამაზესი მსახიობი ბაია დვალიშვილი, 3 კამერით იწერება ჩემი სიმღერა – ბოლო აკორდი – მოეფერეთ ერთმანეთს დაااااა.... შარვალი მძვრება, სამარისებული სიჩუმე. ვცდილობ, შარვალი ჩავიცვა, მაგრამ არაფერი გამომდის – შარვალზე მიმაგრებული ხმის ადაპტორის კაბელი რაღაცაში გაეხვია.

ამ დროს გაისმის ქალბატონი ბაიას მშვიდი ხმა – აქ საცურაოდ ჩამოსულხარ, არა? კიდევ კარგი ქვედა საცვლის მაგიერ ცნობილი ფირმის – სპიდოს ახალთახალი საცურაო კოსტუმი მაცვია თავისი სამი ზიპით, ფირმის ემბლემით. როგორც წესი, მას ვიცვამ შორი მგზავრობისას – იქნებ ცურვა მომინდეს სადმე, ვფიქრობ. კიდევ კარგი, კიდევ კარგი, რომ გადამღებ ჯგუფს იმედი არ გავუცრუე და ღირსეულად შევქმენი საცურაო განწყობილება. მშვენიერი საცურაო აუზია იმ სასტუმროში, გავიფიქრე, მოდი, პერანგსაც გავიხდი და წყალში ჩავხტები-მეთქი, მაგრამ ქლორიან წყალში არ ვცურავ, ამიტომ ურეკში ორმაგი გეგემა შევასრულე – 30 წუთი ვიცურავე. სასტუმრო ამბასადორში კი ქლორის მაგივრად მარილს თუ ჩამიყრიან, ან ჩვენი მომხიბვლელი დულცინეა ბაია თუ მიბრძანებს, ვიცურავებ, აბა, რას ვიზამ.

წიგნი გია ყანჩელზე გამოცემულია



კომპოზიტორ გია ყანჩელზე და მის საინტერესო და მრავალფეროვან ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წიგნი გამოცემულია. „დიალოგები გია ყანჩელთან“ – ასე ჰქვია დიდი ქართველი კომპოზიტორისადმი მიძღვნილ კრებულს, რომელიც ერთგვარი ავტობიოგრაფიაა. მასში კომპოზიტორი ყვება თავის ცხოვრებაზე, მშობლებზე, ბავშვობაზე, თანამედროვეებზე, მეგობრებსა და მოძულეებზე, მუსიკის შექმნის პროცესზე, თავის შემოქმედებაზე – სიმფონიების, კამერული ნაწარმოებების და თეატრისა და კინოს მუსიკის შესახებ – ზოგადად, მუსიკაზე, ხელოვნებასა და საზოგადოებაზე. წიგნში გამოყენებულია გურამ წიბახაშვილის, რობერტო მაზოტის, ვალერი პლოტნიკოვისა და ჩვენთვის უცნობი ავტორების ფოტოები კომპოზიტორის პირადი არქივიდან. საუბრების ციკლი გია ყანჩელთან მუსიკისმცოდნე ნატალია ზეიფასმა 2003-2004 წლებში ჩაწერა, რომელიც რუსულიდან ქართულად კახა თოლორდავამ თარგმნა.

„იქნებ, საერთოდ სხვა ცხოვრებით უნდა მეცხოვრა? სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ კითხვაზე პასუხს ვერასდროს გავიგებ...“ – ამბობს გია ყანჩელი.

მერაბ კოსტავას მუზეუმს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება



მოქალაქე რუსუდან თორღვაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის შენობაში მდებარეობდა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოისყიდა და მუზეუმში სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანია მერაბ კოსტავას და ეროვნული მოძრაობის როლი. ფასდაუდებელია მერაბ კოსტავას წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, მერაბ კოსტავა დისიდენტური მოძრაობის გამორჩეული სახე იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა სივრცეში.

1991 წელს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივითა და თაოსნობით, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი მისსავე საცხოვრებელ სახლში გაიხსნა.

2016 წლიდან მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი „მუზეუმების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულია.

მუზეუმში დაცულია უნიკალური მასალა, პირადი ნივთები, მემორიალური ავეჯი, მისი ბიბლიოთეკა, ხელნაწერები... ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მუზეუმი აერთიანებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფოტო და დოკუმენტურ მასალას, წერილებს, იმ პერიოდში გამოცემულ არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებს... სახლი და ეზო, სადაც მერაბ კოსტავა ცხოვრობდა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა XX საუკუნეში.

იგი ამ მოვლენების ერთგვარი ეპიცენტრი იყო და დღემდე „მერაბის ეზოდ“ მოიხსენიებენ. აღნიშნული მუზეუმი ქვეყნის ისტორიისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველი ხალხის სიმბოლოდ მოიაზრება.

მუზეუმს დაარსების დღიდან, მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია, შესაბამისად, მისი მემორიალური თუ საექსპოზიციო სივრცეები ვერ პასუხობდა თანამედროვე მუზეუმისთვის საჭირო მოთხოვნებს.

„მუზეუმების გაერთიანების“ მიზანს წარმოადგენს, „თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი“ გახდეს ახალი მიზიდულობის ცენტრი დედაქალაქში, როგორც ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, ასევე, საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული ტურისტებისთვის.

სლესის ციხის კოშკი ჩამოინგრა

სამცხე-ჯავახეთში მდებარე უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლი – სლესის ციხის კოშკი ჩამოინგრა. ფოტო და ინფორმაცია სოციალურ ქსელში არჩილ მაისურაძემ გაავრცელა:

– სამწუხარო ფაქტი. ჩამოინგრა სლესის ციხის კოშკის კუთხე. ამა წლის შემოდგომით ის ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო.

მომხდარს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოეხმაურა:

– სლესის ციხის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო პროცესს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მომავალი წლიდან წარმართავს. ეროვნული კატეგორიის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობის საკონსერვაციო პროექტის მომზადებას სააგენტო 2021 წლის პირველივე თვეებში უზრუნველყოფს, რომლის საფუძველზე ფიზიკური სამუშაოები უკვე გაზაფხულიდან დაიწყება. საპროექტო დოკუმენტაცია 1948 წელს არქიტექტორ ვ. წილოსანის მიერ გამოხაზულ ანაზომებსა და 1977 წელს განხორციელებული რეაბილიტაციისას რესტავრატორთა ჯგუფის მიერ შესრულებულ ანგარიშებს დაეფუძნება, რომლებიც სააგენტოს არქივშია დაცული.

დიდი ალბათობით, ისტორიული ნაგებობის ჩრდილოეთ მხარის კოშკის ჩამოშლილი ფრაგმენტის რესტავრაციისა და მისი არქიტექტურული სეგმენტების კომპლექსური რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესს ფონდი „ქართუ“ განახორციელებს, რომელთანაც ეროვნული სააგენტოს წინასწარი შეთანხმება უკვე აქვს.

სტრუქტურული სეგმენტების კონსერვაციის დაწყებამდე ციხის ტერიტორია ქვის ნაშალი და მიწაყრილი ფენებისაგან არქეოლოგიური ზედამხედველობის ქვეშ გაიწმინდება. დეგრადირებულ არეალებზე საპირე ქვები მოიხსნება და ახალი წყობებით აღდგება. ციხის რელიეფის სირთულიდან გამომდინარე, მომზადდება მშენებლობის ორგანიზების პროექტი, რომელიც დეტალურად გაითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების დაცვით ხარაჩოების მოწყობის პრინციპებსა და სქემებს. რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გამაგრდება კლდის ეროზირებული და გამოფიტული ქანები, რომლებიც ნალექის ზემოქმედების შედეგადაა დაშლილი და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

საფორტიფიკაციო ნაგებობის შიდა სივრცე და მიმდებარე არეალი ხე-მცენარეებისგანაც გასუფთავდება, რაც არქიტექტურული ძეგლის ვიზუალურად წარმოჩენას შეუწყობს ხელს. გაწმენდის თანმდევად შესამუშავებელი სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო პროექტი სლესის ინფრასტრუქტურულ მოწყობასა და ტურისტულ სივრცედ ადაპტირებასაც მოიცავს. საშუალოვადიანი სარეაბილიტაციო პროექტის დასრულების შემდგომ კი სლესის ციხე სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთ თვალსაჩინო ტურისტულ მიმართულებად იქცევა. წინასწარი მონაცემებით, სლესის ციხის არქეოლოგიური გაწმენდის, კონსერვაციისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტი 2 წელიწადს გასტანს.

სლესის ციხის კოშკის სამხრეთ-დასავლეთი ფრაგმენტი რამდენიმე დღის წინ ჩამოიშალა. ადგილობრივად მცხოვრებ თვითმხილველთა განმარტებით, ნგრევა ქვის საპირე წყობაზე დაცემულმა მეხმა განაპირობა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე არსებული მდგომარეობა სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის არქიტექტორ-რესტავრატორის მიერ 18 დეკემბერს შეფასდა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა სამომავლო ქმედებების გეგმა და საჭიროებები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ლევან კორღალიძე: „გაგრასთან მარცხი ჩემთვის იმედგაცრუება იყო“

2018 წლის ჩემპიონმა და 2019 წლის საქართველოს თასის მფლობელმა საბურთალომ წლევანდელი სეზონი მე-5 ადგილზე დაასრულა.

ეს არ იყო მისაღები შედეგი გუნდისთვის, რომელსაც მუდმივად დიდი ამბიციები აქვს. თუ რა გეგმები აქვს მომავალში საბურთალოს და რა სიახლეებია კლუბში, მთავარი მწვრთნელისგან, **ლევან კორღალიძისგან** გავიგებთ.

– სეზონის ბოლოს, სამტრედიასთან მატჩის შემდეგ სეზონი წარუმატებლად შეაფასეთ. რამ გამოიწვია ეს შედეგი?

– უკვე წლებია საბურთალო მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. გუნდი მოკლე დროში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, დაეუფლა თასსა და სუპერთასს. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ სეზონი წარუმატებლად დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ საბურთალოს შუა სეზონიდან შევუერთდი, შედეგზე პასუხისმგებელი მე ვარ. ამას არა აქვს მნიშვნელობა, ვინ დააკომპლექტა გუნდი. ამჟამად, კლუბის მთავარი მწვრთნელი ვარ და პასუხისმგებლობაც მე მეკისრება. ვიცი, რა საქმიანობასაც შევეჭიდე. მჯერა, მალე ყველაფერი კარგად იქნება. გვერდში დგომასა და სრულ მხარდაჭერას ვგრძნობ კლუბის ხელმძღვანელებისგან. მათი გვერდში დგომა მაიმედებს და ძალას მმატებს. ხელმძღვანელების ხელშეწყობა რომ არ მქონოდა, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებდი.

– რომ გადავავლოთ თვალი, ხანდახან დიდი ისტორიის მქონე კლუბებიც ვერ ახერხებენ სასურველი მიზნის მიღწევას.

– ხდება ხოლმე, რომ სეზონი წარუმატებლად სრულდება, ამაში ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, თუმცა, მთავარია, სწორად გავაანალიზოთ, თუ რამ განაპირობა ეს შედეგი. კიდევ ერთხელ განვმეორდები – კლუბის ხელმძღვანელობა, სამწვრთნელო შტაბი, ყველა გვერდში მიდგას, რაც ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა.

– ძალიან მტკივნეული იყო მარცხი თასის ნახევარფინალში გაგრასთან, მით უფრო მაშინ, როდესაც პირველი და მეორე ეტაპი დინამოსთან და ტორპედოსთან გუნდმა დამაჯერებლად ჩაატარა. რა მოხდა იმ შეხვედრაში?

– პირველ რიგში ვულოცავ გაგრას თასის მოპოვებასა და მომავალში წარმატებებს ვუსურვებ. ამავდროულად, ჩემი პატივისცემა ამ კლუბს, თუმცა ვიტყვი, რომ ვალდებულები ვიყავით ხსენებული თამაში მოგვეგო. თასის

გათამაშება კარგად დავიწყეთ, 2 ძლიერი გუნდი გამოვთიშეთ ტურნირიდან და ახლოს ვიყავით თასის მეორედ მოგებასთან, მაგრამ... ეს მარცხი ჩემს სამწვრთნელო კარიერაში სამუდამოდ დარჩება, როგორც იმედგაცრუება. გაგრასთან შეხვედრაში მოტივაცია დაგვაკლდა, ამავდროულად ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავდა, მაგრამ ეს ჩვენს მარცხს არ ამართლებს. ფეხბურთი ამით არის საინტერესო, რომ ძლიერი ყოველთვის ვერ იმარჯვებს.

– ტრავმები ახსენეთ. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საბურთალომ წლეულს წარუმატებლად იასპარეზა ხშირი ტრავმიანობა და მოკლე სკამი იყო. თებერვლიდან გუნდს გიორგი კოხრეიძეც შეუერთდება, რომელიც საბურთალოსთვის დიდი ძალაა. ანალოგიური მომავალ წელს რომ არ განმეორდეს, ალბათ გარკვეული ფეხბურთელების დამატება მოგიწევთ.

– გიორგი კოხრეიძე ძალიან დიდი ძალაა საბურთალოსთვის. მიხარია, რომ ის მალე შეუერთდება გუნდს. რაც შეეხება მოკლე სკამს – იყო შემთხვევები, როდესაც ვარჯიშზე 10 ფეხბურთელით ვიყავით და დუბლებიდან ვიმატებდით ახალგაზრდებს, რათა სრულფასოვანი ვარჯიში ჩაგვეტარებინა. თუ გავიხსენებთ თელავთან საგარეო მატჩს, იმ შეხვედრაში თადარიგში მეკარე და ორი ფეხბურთელი გვყავდა.

– სეზონის დასრულების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობასთან გქონდათ შეხვედრა. როგორია მომავალი გეგმები?

– საბურთალო მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი კლუბია და ასე იქნება მომავალშიც. რა მატჩებიც ჩემი ხელმძღვანელობით ჩავატარეთ, ბევრი დადებითი კონტურები გამოჩნდა, რამდენიმე კარგი თამაში ვითამაშეთ. მართალია, გორში დავმარცხდით, მაგრამ ლამაზი, კომბინაციური გოლები გავიტანეთ. გვქონდა შეცდომები, მაგრამ სწორი გაანალიზებაა საჭირო. მჯერა, შედეგიც მალე სასურველი გვექნება.

– ახლა კლუბებში სატრანსფერო ციებ-ცხელებაა. იგეგმება რადიკალური ცვლილებები?

– ცვლილებები იქნება – კლუბს სჭირდება ახალი სისხლი. რამდენიმე ფეხბურთელთან დავასრულეთ მოლაპარაკება, ისინი მომავალში ჩვენს კლუბში ითამაშებენ. თუმცა, უმჯობესი იქნება, მათი ვინაობა ყველა იმ ფორმალური საკითხების დასულების შემდეგ გითხრათ, როდესაც ყველაფერი მორჩება. უახლოეს დღეებში გეცოდინებათ წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა.

– როდის დაიწყებთ ახალი სეზონისთვის მზადებას?

– 26 დეკემბრიდან ფეხბურთელები ინდივიდუალური პროგრამით დაიწყებენ ვარჯიშს. 10 იანვრიდან როდესაც შევიკრიბებით, რაღაც დონეზე მზად რომ იყვნენ. თავდაპირველად, დედაქალაქში მოვემზადებით, შემდეგ კი, თუ პანდემია ხელს არ შეგვიშლის, თურქეთში გავემგზავრებით დასკვნით შეკრებაზე.

– საბურთალო აკადემიის წარმატებულ ფეხბურთელებს პირველ გუნდში აწინაურებს. ალბათ, ეს გეზი მომავალშიც გაგრძელდება.

– ყველა მწვრთნელს ფეხბურთისადმი თავისი შეხედულება აქვს. საბურთალოში ისეთ მწვრთნელებს უმუშავიათ, რომლებიც აკადემიის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ. მეც ასეთ მწვრთნელებს მივეკუთვნები. ვფიქრობ, როდესაც საბურთალოში ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა, ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ აკადემიის განვითარება და წარმატებული ფეხბურთელების დაწინაურება იყო. ვინც დაიმსახურებს პირველ გუნდში თამაშს, მათთვის კარი ყოველთვის ღია იქნება. თუმცა, მათი ჩანაცვლება უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს. ვისარგებლებ შემთხვევით და ყველა ადამიანს, დაწყებული კლუბის ხელმძღვანელობიდან, დამთავრებული დარაჯამდე, ყველას დიდ მადლობას გადავუხდი, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რასაც ჩემ მიმართ იჩენენ. ამას გულწრფელად ვგრძნობ თითოეულ ჩემს ფეხის ნაბიჯზე. ეს ყველაფერი ძალიან დიდი კომფორტია ჩემთვის, უფრო მეტი შემართებით ვარ. ერთიანობა, გვერდში დგომა, სითბო და ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული შედეგს აუცილებლად მოიტანს.

ბითაძე თვენახევარი დაისვენებს

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) მორიგი სეზონი კი დაიწყო, მაგრამ სტარტი უქართველო იქნება. საქმე ის არის, რომ ინდიანა პეისერსის ცენტრ გოგა ბითაძეს ტრავმა აწუხებს და 5-6 კვირა მოედანზე ვერ გავა.

ამის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა ისაუბრა.

პაატა გურასპაული:

– როგორც იცით, გოგა ბითაძეს მუხლის ტრავმა ჰქონდა და იმ პერიოდში, როცა ნბა-ს კალათბურთელები ახალი სეზონისთვის ემზადებოდნენ, ის ისვენებდა. გოგა ნაკრებში სწორედ ამიტომ ვერ ჩამოვიდა და, რასაკვირველია, ამას ყველანი გაგებით მოვეკიდეთ. წინასასეზონო მატჩების დაწყებამდე, ეს ტრავმა კი მოირჩინა და შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა, მაგრამ ვარჯიშზე ფეხი გადაიბრუნა და ტერფის ტრავმა მიიღო. დაზიანება სერიოზული არ ყოფილა და თითქოსდა მოურჩა ეს ტრავმა, მაგრამ იმის შიშითა და ფიქრით, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი ძალიან არ გაწელილიყო, პარკეტზე მაინც გავიდა და ვარჯიშზე ტერფის მყესი გაიწყვიტა. ეს არც თუ ისე მძიმე დაზიანებაა, მაგრამ მსუბუქსაც ვერ ვუწოდებთ. მას ოპერაცია არ დასჭირდება და ექიმების პირველადი დასკვნებით 5-6-კვირიანი პაუზის აღება მოუწევს, თუმცა 2 კვირაში სამედიცინო კვლევებს კიდევ ერთხელ ჩაუტარებენ.

გეტყვით, რომ ბითაძემ ტრავმის გამო ინდიანას 2 წინასასეზონო მატჩი გამოტოვა და მხოლოდ ფილადელფიასთან გამართულ შეხვედრაში ითამაშა, პარკეტზე 20 წუთი გაატარა და 5 ქულა, 5 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა დააგროვა.

გოგამ გასულ სეზონში პეისერსის მაისურით 54 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ 3.2 ქულას, 2 მოხსნას, 0.7 დაფარებასა და 0.4 პასს აკეთებდა.

რუსთავს პირველად დინამომ მოუგო

ჩუსთავი-დინამო 77:84
(19:21, 21:25, 19:18, 18:20)

ზედიზედ 5 გამარჯვებით დაწყების შემდეგ პირველი მარცხი განიცადა რუსთავმა. არადა, ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა ბოლო 4 მატჩის წამგებსა და მიმდინარე ცხრილის ერთ-ერთ აუტსაიდერ დინამოს უმასპინძლა, თუმცა დაგეგმილი გამარჯვება ვერ მოიპოვა. ამის საშუალება ქვემოქართლელებს 2 ამერიკელი ლეგიონერით გაძლიერებულმა და ერთ მუშტად შეკრულმა დინამოელებმა არ მისცეს. მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილმა გუნდმა 2 უცხოელის სახით სოლიდური შევსება მიიღო და ფაქტობრივად მათთან შეთამაშების გარეშე სუპერლიგის ერთ-ერთი მოწინავე გუნდი სტუმრად დაამარცხა – 84:77.

სტუმრები თავიდანვე რომ დაწინაურდნენ, 5-10 ქულით სულ ლიდერობდნენ, რუსთაველები კი ჩამორჩენის გაბათილებას ცდილობდნენ. ყველაზე ახლოს მასპინძლები მეტოქესთან ბოლო წუთზე მივიდნენ, როცა ანგარიში 75:78 გახდა და ამავდროულად ქვემოქართლელებმა შეტევის უფლებაც მოიპოვეს. შეხვედრის დასრულებამდე 29 წამით ადრე რუსთავი უტევდა, თუმცა ამერიკელმა უკანახაზელებმა – მალიქ უაითმა და მაიკ დევისმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში მასპინძლებმა ბურთი და მასთან ერთად მატჩის გადარჩენის შანსიც დაკარგეს. დინამოში მშვენიერი დებიუტი გამოუვიდათ ალონზო უოკერსა და ბარეტ ბენსონს. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, რომელმაც 17 ქულა, 12 მოხსნა და 4 პასი მიითვალა, რითაც დინამოს დიდად დაეხმარა. ბენსონმა ადგილი ფარქვეშ დაიკავა და მანამდე დინამოელთათვის მოშიშვლებული პოზიცია გაამაგრა. ტაჩის გაწვრთნილ გუნდს აკლდა ხეირიანი მეფარე, რომელიც 3-წამიანში გუნდს აგრესიასა და საიმედოობას შესძენდა. ბენსონმა დამაჯერებლად ითამაშა ცენტრის პოზიციაზე და დინამომ ამით სოლიდური სარგებელი – რუსთავში გამარჯვება მიიღო. მხოლოდ ბენსონი და დინამოს მეფარეები არ ყოფილან წარმატების მიზეზი. ფარქვეშა არტილერიის შემატებით დინამო დაბალანსდა, შეივსო, თორემ ეს გუნდი კვლავინდებურად ძლიერია პერიმეტრზე. ლუკა ბულაშვილის შედეგიანობას არაფერი მოჰკლებია, 27 ქულა, 6 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა და მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

სატუჩნიო ცხრილი:

1.თსუ	9	6	3	758-739	15
2.ქუთაისი	7	7	0	701-584	14
3.ბათუმი	9	3	6	765-839	12
4.რუსთავი	6	5	1	526-444	11
5.ცხუმი	7	4	3	594-526	11
6.ვერა	8	3	5	606-666	11
7.კაკტუსი	8	3	5	574-620	11
8.დინამო	7	3	4	618-642	10
9.ოლიმპი	8	2	6	589-644	10
10.ტიტები	7	3	4	551-561	10
11.მგზავრები	5	1	4	396-425	6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

იზა, აზა, მზია თათარიშვილები და გურამ კვიკვინია თანაგრძნობას უცხადებენ გულისა და ორდე დგებუაძეებს დის

მაია დგებუაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ახლობლებს.

კორნელი ჯორბენაძის ხსოვნას

დედაჩემის საგვარეულო ძალიან მიყვარს. კორნელი ჯორბენაძე ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი და სასიყვარულო ადამიანი იყო. მიმძიმს მასზე წარსულ დროში საუბარი, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევი. მთელი ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული ბიძაშვილ-მამიდაშვილებს. ჩვენი ნათესაური დამოკიდებულება, სიყვარული და პატივისცემაც აქედან მოდის.

კორნელი კარგი ფიზიკოსი, ყურადღებიანი, პატიოსანი, ერთგული და მეგობრის მოყვარული ადამიანი იყო. ჰქონდა იუმორის გრძნობა და ახასიათებდა დამაჯერებელი საუბარი. ბრწყინვალე მამამ და მოსიყვარულე ბაბუამ შესანიშნავი ძმობაც იცოდა. მან საყვარელ დას უმკურნალა და ფეხზე დააყენა. ვწუხვარ, რომ საკუთარ მეუღლეს, მისი ცხოვრების თანამგზავრს, თავისი სიცოცხლე ვერ აჩუქა. შვილების მონდომებამ, მამა სიკვდილისგან ეხსნათ, დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. მისმა გარდაცვალებამ გაგვანაწყენა ყველა, თუმცა, დიდი სიყვარული დაგვიტოვა. საოცრად პასუხისმგებლიანი, უანგარო და კეთილი კორნა მხოლოდ პატივისცემას იმსახურებდა. იგი ავადმყოფობით არ უნდა დასჯილიყო. მას უნდა ეცოცხლა დიდხანს.

ჩვენი მოყვარული კორნელი სიზმრებში მაინც მოვა ჩვენთან და დალოცავს ყველას. იძინოს მშვიდად თავის საყვარელ მშობლებთან, მამიდებთან და ჩემს მამიასთან ერთად.

მამიდაშვილი მზია ჩაჩავა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. უდაბნოში მზარდი მცენარე; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი; 5. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 6. მგალობელი ჩიტი; 8. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 11. სამეფო კვერთხი; 12. ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი; 15. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. ვაჭართა ინტერესების დამცველთა გაერთიანება ძველად; 19. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 21. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 22. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი.

თარაზულად: 1. გამომწვარი ფერადი თიხა კერამიკული სამუშაოებისთვის; 5. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქართველი კონსტრუქტორი, დუბაის „პალმა ჯუმეირას“ პროექტის ერთ-ერთი ავტორი; 10. მტრის ზურგში გადასხმული სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. იტალიელი კომიკოსი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. ტურისტთა მეგზური; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 22. გერმანული მეტალურგიული მანქანათმშენებელი კონცერნი; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 24. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 25. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დეფინიცია; 2. მისხალი; 3. პანეში; 4. ულუსი; 5. შტამბი; 11. ტუბერი; 12. ავანსი; 14. კალა; 16. სპაგეტი; 17. ფლუგერი; 19. ბულიმია; 21. შკოდა; 22. ჯეზვე.

თარაზულად: 6. მექანიკა; 7. ფალეტი; 8. სარმა; 9. ენძელა; 10. შტატი; 13. ჭინკა; 15. უსახელაური; 18. ღირსება; 20. ლელა; 21. შულერი; 23. სიმპოზიუმი; 24. რონოდა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. იკებანა; 3. ევოლუცია; 4. ასტეროიდი; 5. დუკლა; 6. იამოტო; 8. უჯარმა; 11. სტილეტი; 14. ტრუსკავეკი; 15. გემრიელი; 16. ფერეიდანი; 17. რამოსი; 19. ორაგული; 21. პიესა; 22. პრაღა.

თარაზულად: 1. ჩინეჩიტა; 5. დაჩი; 7. ჭყურტი; 9. აერონავტიკა; 10. მუსკატი; 12. ატრიუმი; 13. პრისტლი; 16. ფიტარეთი; 17. რიცი; 18. შონია; 20. პიკადელი; 22. პრესა; 23. ოგინსკი; 24. აირანი; 25. სუეცი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2660

ევრო — 3.9662

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3157

100 რუსული რუბლი — 4.3373

ამინდის პროგნოზი 24 დეკემბრისათვის

ნატალია ქუთათელაძე მსოფლიო კარიერას იწყებს

ოპერის მომღერალი ნატალია ქუთათელაძე მსოფლიო კარიერას იწყებს.

ჯულიარდის სკოლის დასრულების შემდეგ, ნატალიამ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. ახლა კი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სააგენტოსთან „ასკონას ჰოლტთან“ კონტრაქტი გააფორმა.

ქართველი მეცო სოპრანო ამ სეზონზე კარმენის დებიუტით წარდგება მსმენელის წინაშე სანტიაგოს მუნიციპალურ თეატრში. ეს მისი საერთაშორისო კარიერის დასაწყისია. მისი მენეჯერი ნათან მორისონი ნატალიას კარიერაზე იზრუნებს და ოპერის მომღერალს საკონცერტო განრიგს დაუგეგმავს.

მიშა გომიაშვილი მამაკაცის საუკეთესო როლის ნომინაციაშია

ქართველი მსახიობი მიშა გომიაშვილი მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის პრემია „ოქროს არწივის“ ნომინანტია.

მსახიობი ამ პრემიაზე თავისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევრით – მხატვრული ფილმის „ჰეფი ენდი“ შეირჩა. ფილმი „ოქროს არწივის“ სამ ნომინაციაზეა წარდგენილი: საუკეთესო ფილმი, მამაკაცის საუკეთესო როლი და საუკეთესო კინო მუსიკა.

თამრიკო ჭოხონელიძე: „უღრმეს მადლობას გიხდით!“



მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე უღრმეს მადლობას საჯარო უხდის იმ ათასობით ადამიანს, ვინც მას მხარდაჭერა გამოუცხადა. საქმე ეხება მისთვის შობის დღესასწაულზე გალობის აკრძალვას. როგორც მომღერალმა განაცხადა, მას შობის დღესასწაულზე გალობა ანტიდისკრიმინაციული განცხადებების გამო აუკრძალეს. ანდრია ჯაღმაიძემ საპატრიარქოს სახელით კი განაცხადა, რომ თამრიკო ჭოხონელიძე მგალობელი არ არის, ამიტომ მისი შობის დღესასწაულზე გალობა მხოლოდ გამონაკლისი იყო:

თამრიკო ჭოხონელიძე:

– ჩემო ძვირფასებო! პირველ რიგში, დამდეგი შობა-ახალი წელი მინდა მოგილოცოთ, იმედით, სიყვარულითა და თანადგომით სავსე წელი გისურვოთ! დიახ, თანადგომით, რომელიც თქვენი წყალობით ამ დაძაბულ მონაკვეთის ჟამს წამალივით მკურნალი აღმოჩნდა ჩემთვის! თქვენ შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოთ, რა როლი ითამაშა თითოეული თქვენგანის წერილმა ჩემს გაძლიერებასა და არგატეხვაში! უღრმეს მადლობას გიხდით!

ჩემი ტკივილნარევი განწყობის გაზიარება მინდოდა თქვენთვის, რომელზეც შემდგომში დაგელაპარაკებით. არ მინდოდა, მადლობის სიტყვები რაიმეს გაეფერმკრთალებინა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ანეკდოტი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მამაჩემისთვის ყური უნდა მეგდო, როდესაც ჯერ კიდევ პატარა ვიყავი! უნდა დამეგდო! მე უტვინო კი არ ვუსმენდი...

– და რას გეუბნებოდა?

– აბა, რა ჯანდაბა ვიცი. ხომ გითხარი, არ ვუსმენდი...

●●●

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– წარმოიდგინე, რომ გაქვს ორასი ლარი. 50 ლარს აძლევ ლილის, 50 ლარს ნინის, 50 ლარს ნაზის და რა გამოვა?

– რა და ორგია...

●●●

ბიჭმა თოვლის პაპას წერილი მისწერა:

– თოვლის პაპა, მინდა ხელმისაწვდომი პროდუქტები, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, ღირსეული ხელფასი და ღირსეული ცხოვრება.

მალე მიიღო პასუხი:

– პირდაპირ დაგეწერა, რომ დეპუტატობა გსურს!

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– მოწყენილი ხართ?

მამაკაცმა ქალი ყურადღებით შეათვალიერა და უპასუხა:

– არც იმდენად...

●●●

მამაკაცი გამყიდველს:

– ეს ყველი გუშინ თქვენთან ვიყიდე...

– და რაშია საქმე?

– თქვენ მითხარით, რომ ის შვეიცარიულია.

– დიახ, მერე?

– შეგიძლიათ მითხრათ, იმპორტირებულია თუ დეპორტირებული?

●●●

მამა შვილს ტელეფონზე ურეკავს და ეუბნება:

– გოგო, დროზე მოდი სახლში, ემანდ ვინმემ არ მოგიტაცოს და თავი არ გაიუბედეროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



იკერ კასილიასი რეალში დაბრუნდა

მადრიდის რეალის ლეგენდარული მეკარე იკერ კასილიასი გუნდში დაბრუნდა და გენერალური დირექტორის მოადგილედ დაინიშნა.

ეს ინფორმაცია რეალის საიტზე ოფიციალურად დადასტურდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ რეალი ამაყობს კასილიასის გუნდში დაბრუნებით. იკერი რეალში 15 წლის მანძილზე თამაშობდა და ამ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო. ამ წლებში კასილიასი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა და რამდენჯერმე ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერად დასახელდა.

ტერ შტეგენი: „კარის მშრალად შენახვა ყოველთვის სასიამოვნოა“

ბარსელონამ სტუმრად ვალიადოლიდი 3:0 დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა შედარებით გამოისწორა.

ამ სეზონში ბარსელონა დაცვაში არც ისე კარგად თამაშობს. ტერ შტეგენის აზრით, სიტუაცია ამ მხრივ მომავალში გამოსწორდება:

– ძალიან მიხარია, რომ გოლი არ გავუშვით, რადგან ამ მხრივ ბოლო პერიოდში მუდმივად პრობლემები გვქონდა. დაცვაში კარგი თამაში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

აიაქსის ფანებს კვარაცხელიას თავის გუნდში ხილვა სურთ

საქართველოს ნაკრების და ყაზანის რუბინის ნახევარმცველი ხვიჩა კვარაცხელია ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელად ითვლება და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სოციალურ ქსელში აიაქსის ფანების კომენტარები გაჩნდა, სადაც ისინი კვარაცხელიას აიაქსში გადასვლას ითხოვენ. თვითონ ხვიჩას ჯერჯერობით თავის მომავალზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მესი მეფეზე მეტია

ბარსელონას არგენტინელი შემტევი, ლიონელ მესი ლეგენდარული პელეს რეკორდს რომ დაამხობდა, დღეების ამბავი იყო. ასეც მოხდა – ლეომ ვალიადოლიდთან გაიტანა. შედეგად, „ლა პულგამ“ კატალონიური კლუბის მაისურით უკვე 644 გოლი გაიტანა, რაც აბსოლუტური რეკორდია. როგორც გითხარით, მესიმ პელეს რეკორდი დაამხო, რომელსაც ერთი გუნდის, სანტოსის მაისურით, 643 გოლი ჰქონდა გატანილი.

ლეო მესი:

– როდესაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ რამე რეკორდს მოვხსნიდი. მით უფრო ნაკლებად წარმოვიდგენდი იმას, რასაც დღეს მივაღწიე – პელეს შედეგის გაუმჯობესებას. მხოლოდ ის შემიძლია, რომ მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში მეხმარებოდა – თანაგუნდელებს, ოჯახს, მეგობრებსა და ყველას, ვინც ყოველდღე მხარს მიჭერს. მესის რეკორდზე კომენტარი გააკეთა ბარსელონას ყოფილმა ფეხბურთელმა, ინგლისელმა გარი ლინეკერმა:

– მესიმ ბარსელონაში 644-ე გოლი გაიტანა. მან ერთ კლუბში გატანილი გოლებით პელეს რეკორდი დაამხო. ეს არის მიღწევა, რომელსაც ვეღარასდროს გაიმეორებენ. მესის რეკორდი რომ გაუმჯობესდეს, ვინმემ ერთ კლუბში, 15 წლის განმავლობაში, სეზონში, საშუალოდ 43 გოლი უნდა გაიტანოს.

ბარსელონის ათიანის ამ რეკორდის გაუმჯობესება მართლა წარმოუდგენელი ჩანს...

ბრიტანეთში საუკეთესო ჰამილტონია

მანჩესტერში, ბიბისის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალზე წლის საუკეთესო სპორტსმენი ფორმულა 1-ის პილოტი ლუის ჰამილტონი გახდა.

ფორმულა 1-ის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი, ჰამილტონი 2020-ში მიხაელ შუმახერს გაუტოლდა – მსოფლიოს ჩემპიონი ზედიზედ მეოთხედ გახდა, ხოლო ჯამში მეშვიდედ დაეუფლა ტიტულს.

35 წლის ვარსკვლავმა კარიერაში 91 გრან-პრი მოიგო და ამ მონაცემითაც გადაასწრო შუმახერს. ბიბისის მთავარ ჯილდოში ჰამილტონს მოკრივე ტაისონ ფიური, მოკრიკეტე სტიუარტ ბორდი და სნუკერის დიდი ვარსკვლავი რონი ოსალივანი ეცილებოდნენ. საუკეთესო გუნდის პრიზი კი, ლივერპულს მისცეს. მისმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ისარგებლა რა მომენტით, მეტოქეებს კბილი გაჰკრა – ჯილდოს მანჩესტერში აღება წარმატებას დამატებით გემოს მატებსო. მოგეხსენებათ, გასულ სეზონში, რომელიც კორონაპანდემიის გამო არნახულად გვიან, 26 ივლისს დასრულდა, ჩემპიონი გახდა ლივერპული. მერსისაიდელებმა სარეკორდო 99 ქულა მოაგროვეს, მხოლოდ 3 თამაში წააგეს და მე-2 ადგილზე გასული მანჩესტერ სიტი 18 ქულით ჩამოიტოვეს.

ჯილდო თავად კლოპმაც მიიღო – ის წლის საუკეთესო მწვრთნელი გახდა.

გულშემატკივართა გამოკითხვაში კი, ჰამილტონის შემდეგ, მე-2 ადგილზე ლივერპულის კაპიტანი ჯორდან ჰენდერსონი გავიდა, მე-3 ადგილზე – ჟოკეი ჰოლი დოილი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

24 დეკემბრისათვის

ვერძი – დღეს ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. ფიზიკურ დატვირთვას მაქსიმალურად ერიდეთ. **კურო** – დაკავდით სპორტით. შემოსავალი გეზრდებათ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურია. **ტყუპები** – მოუგვარებელი პრობლემების გამო კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. მძიმე დღეა. **კირჩხიბი** – ნანატრი წარმატება მოდის. პლანეტები თქვენ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან. **ლომი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. გელით საინტერესო და პერსპექტიული შემოთავაზება. **ქალწული** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. იყავით კეთილსინდისიერი და ოპტიმისტი. **სასწორი** – ნებისმიერი გამონათქვამი და ქცევა აკონტროლეთ. წინდაუხედაობა ცუდ შედეგს გამოიღებს. **ღრიანკალი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. არაფერი გაწუხებთ. ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – საქმეში ახალი პარტნიორები ჩართეთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **თხის რქა** – თქვენი აქტიურობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. შრომა დაგიფასდებათ. **მერწყული** – ყოველდღიური რუტინა დაგჭანცავთ. დროა დაისვენოთ, შეიცვალოთ გარემო. **თევზები** – საქმეში ცვლილებებია შესატანი. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით, ნუ აჩქარდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვროსვოხდი ›



შვეულად: 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 3. რკინიგზის ლიანდაგის სიგრძის საზომი ერთეული; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 11. მაღაროს გასანათებელი ფარანი; 12. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 14. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 16. მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 17. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 21. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 22. არეულობა, უწესრიგობა.

თარაზულად: 6. ჩინური ფაიფური; 7. ვოინიჩის რომანი; 8. პორტატული მფრინავი აპარატი; 9. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 10. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 13. არჩვის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 18. ძვირფასი ავტომატური საწერი კალმების მწარმოებელი ფირმა; 20. ბრიტანული არაყი; 21. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 23. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა